ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლაშა კაკაშვილი

სახელმწიფო პოლიტიკა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის მიმართ საქართველოში

სამაგისტრო პროგრამა პოლიტიკის მეცნიერება

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი ალექსანდრე კუხიანიძე

თბილისი

2019

ანოტაცია

სახელმწიფო პოლიტიკა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის მიმართ საქართველოში

ლაშა კაკაშვილი

ნაშრომის მიზანია საქართველოს მთავრობის მიერ არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის მიზნით წარმოებული პოლიტიკის ანალიზი. საქართველოს რეალობაში თემა აქტუალურია, ვინაიდან ბოლო წლებში ქვეყანაში განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რომ პრევენციის პოლიტიკა არასრულწლოვანთა შორის აუცილებლად უნდა იყოს კვლევის საგანი და ანალიზის ერთეული. ასევე, აუცილებელია, რომ სახელმწიფოში გატარებული პოლიტიკა ეფუძნებოდეს დანაშაულებრივი ქმედების სტატისტიკას და მისი გამომწვევი ფაქტორები აქტიურად უნდა იყოს დასწვალილი. გატარებული პრევენციული ღონისძიებები და სახელმწიფო პროგრამები კი აუცილებლად უნდა ფასდებოდეს მონიტორინგის სახით, ასევე პრე და პოსტ ტესტებითა და სხვადასხვა კრიმინოლოგიური თუ ფსიქოლოგიური ხერხებით/მიდგომებით. საერთაშორისო გამოცდილების სხვადასხვა კონვენციებისა და პრინციპების მიხედვით, ნებისმიერი პროგრამა, რომელსაც სახელმწიფო ამ მიმართულებით ახორციელებს, პირველრიგში უნდა ითვალისწინებდეს ადგილობრივ სპეციფიკებს და აქედან გამომდინარე უზრუნველყოს პროგრამის ეფექტური და სწორი დაგეგმვა, მისი განუწყვეტელი მონიტორინგი, ადაპტაცია, მოდიფიცირება და ბოლოს შევასება. გარდა ამისა, საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით არსებობს უამრავი აპრობირებული მეთოდი და მიდგომა არასრულწლოვანთა დანაშაულის ეფექტური პრევენციისთვის.

საქართველოს ნებისმიერი მთავრობისთვის უმნიშვნელოვან მიზანს უნდა წარმოადგენდეს მომავალი თაობის აღზრდა ჯანსაღ, დემოკრატიულ, პლურალისტურ გარემოში და არა კრიმონოლოგიურ საფუძველზე. ამისთვის, მნიშვნელოვანია, რომ დაგროვილი ცოდნის და გამოცდილების სწორი ადაპტაცია მოხდეს და ეროვნული პრევენციული სამოქმედო გეგმა სწორად შემუშავდეს.

ნაშრომის სამ ნაწილად არის დაყოფილი. პირველი ნაწილი ცდილობს ახნას არასრულწლოვანთა დანაშაულის ფენომენი. კერძოდ, მოტივები, რაც უბიძგებს ახალგაზრდას დანაშაულის ჩადენისკენ. მეორე ნაწილი მიმოიხილავს იმ უწყებებს, რომლებიც ცდილობენ არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციას. ხოლო, მესამე ნაწილი კი ეთმობა რეფერალურ სისტემას.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ჰიპოთეზა ნაწილობრივ გამართლდა, ვინაიდან მოქმედი ღონისძიებების მიუხედავად დელიქვენტური ქცევა არასრულწოვანთა შორის მაინც აქტუალური რჩება და საჭიროებს მეტ ძალისხმევას, რაზეც ყოველსწლიური შემაჯამებელი სტატისტიკებიც მეტყველებენ.

Abstract

State policy towards prevention of juvenile crime in Georgia

Lasha kakashvili

The goal of the thesis is to analyze the policy of the Government of Georgia for the prevention of juvenile crime. The theme of the Georgian reality is relevant, as the recent developments in the country indicate that prevention policy should be a subject of research and unit of analysis among juveniles. It is also necessary that the policy pursued in the state should be based on the statistical act of criminal activity and its causal factors should be actively studied. Preventive measures and state programs should be evaluated in the form of monitoring, as well as pre and post tests and various criminological or psychological approaches. According to various conventions and principles of international experience, any program that the state implements in this direction should first take into account the local specifications, and thus ensure the efficient and correct planning of the program, its continuous monitoring, adaptation and modification. In addition, there are many proven methods for effective prevention of juvenile offenses according to international experience.

The most important goal for any government of Georgia is to bring up the next generation in a healthy, democratic, pluralistic environment and not on a chromonological basis. It is important to adapt knowledge and experience in the right way. And the National Preventive Action Plan should be properly elaborated.

The thesis is divided into three parts. The first part attempts to explain the phenomenon of juvenile crime. Namely the driving motions that push the juvenile to commit a crime. The second part examines the organizations that are trying to prevent juvenile crime. And the third part is devoted to the implementation of the referral system of Georgia.

Based on the results of the research, the hypothesis is partially justified, since the delicate behavior still remains relevant among the under-age and requires more effort, as the annual summary statistics report.

სარჩევი

შესავალი 6

თავი I. არასრულწლოვანთა კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის მოტივები 16

1.1 არასრულწლოვანთა დანაშაულის ცნება 16

1.2 არასრულწლოვანთა გარდატეხის პერიოდი 16

1.3 არასრულწლოვანთა ქმედების კრიმინოლოგიური ასპექტები 17

1.4 არასრულწლოვანთა დანაშაულის სტატისტიკის ანალიზი 18

1.5 ლატენტური დანაშაული არასრულწლოვანთა შორის. 19

თავი II არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის მაკოორდინირებელი უწყებები 22

2.1 საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი 22

2.2 არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია 27

2.3 დანაშაულის პრევენციის ცენტრის საქმიანობა 32

2.4 არასრულწლოვანთა განრიდება და მედიაცია 37

2.5 საგრანტო პროგრამები 48

თავი III ბავშვთა დაცვის მიმართვის სისტემა (რეფერალი) 51

3.1 ბავშვთა დაცვის მიმართვის სისტემის არსი 51

3.2 სოციალური მომსახურების სააგენტოს ზოგადი ფუნქციები 54

რეკომენდაციები და დასკვნა 56

გამოყენებული ლიტერატურა: 60

დანართი: 62

შესავალი

XXI საუკუნემდე ქვეყანაში სისხლის სამართლის პასუხისმგებას მიეცემოდა არასრულწლოვანი, რომელსაც შეუსრულდა 16 წელი. 14-16 წლის არასრულწლოვანის შემთხვევაში კი საქმე აღიძრებოდა ძირითადად მძიმე დანაშაულის ჩადენის დროს. 1999 წლისთვის სისხლის სამართლის კოდესის ცვლილებების მიხედვით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკი არა 16, არამედ 14 წელი გახდა და არასრულწლოვანი პასუხისმგებაში მიეცემოდა ყველა სახის დანაშაულისთვის, ხოლო თავის მხრივ დანაშაულებრივი ქმედება სამ კატეგორიად იყოფოდა: ნაკლებად მძიმე დანაშაული, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. ყოველგავარი ფსიქო-სოციალური კვლევების მიხედვით არასრულწლოვნების ასაკი ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე ,,მძაფრი'' , საპასუხისმგებლო და დინამიკური პერიოდია. ამ დროს მნიშვნელოვანია, მათ შორის სახელმწფომ, არასრულწლოვანს მოეპყროს როგორც არაზრდასრულ ადამიანს და დაეხმაროს, რომ ეს პერიოდი იქცეს მისთვის ჩამყალიბების წლებად, როდესაც ყველაზე მეტად ყალიბდება ღირებულებითი ორიენტაციები, მენტალობა, ინტერესები და შინაგანი სამყაროს დიდი ნაწილი. მოზარდობის ასაკის ერთ-ერთი დამახასიათებელი ფსიქოლოგიური იერი და თვისებაა ცხოვრებისეული გზის განსაზღვრა, გარკვეული პოზიციების ფორმირება და აგრეთვე მომავალი პროფესიის, საქმიანობისა და გეგმების ჩამოყალიბება. სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ამ ასაკში, საკმაოდ რთულია საზოგადოების მიერ დადგენილი კანონზომიერების გათვალისწინება და ობიექტური რეალობაში არსებული სირთულეების აღქმა. არასრუწლოვანი ადამიანისთვის რთულია სასურველ შედეგს მიღმა გახედვა და მხედველობაში მისი მიღწევის გზებისა და საშუალებების აღება. რთულია საზოგადოებრივად გამართლებული, დადგენილი წესების მიხედვით ასპარეზი. ზუსტად ეს ხდება ხშირ შემთხვევაში მიზეზი იმისა, რომ არასრულწლოვანი ხშირად უხვევს საზოგადოებისთვის და ამა თუ იმ კულტურისთვის მიღებულ მატერიალურ ნორმებს. საქართველოში ეს საკითხი დღის წესრიგში სულ უფრო აქტიურად ხვდება, რაზეც არასრულწლოვანთა დანაშაულის სტატისტიკა და სახელმწიფოს მხრიდან გააქტიურებული პრევენციული მოქმედება მეტყველებს.

ბოლო წლებში, სახლმწიფო მიდგომების ლიბერალიზაციასთან ერთად არასრულწლოვანთა დანაშაული სულ უფრო და უფრო აქტიური ბრძოლის ობიექტი ხდება, რადგან ერთია სახელმწიფო პოლიტიკის სწორ პლატფორმაზე დაყენება, ხოლო მეორეა ე.წ. ,,ნულოვანი ტოლერანტობის'' შედეგად არსებული სტატისტიკის შენარჩუნება ლიბერალურ გარემოში. ამიტომ, ,,ქართული ოცნების'' ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ საკმაოდ ხშირად შუქდებოდა არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი წვრილი თუ მსხვილი დანაშაულის შესახებ. ამან თავის მხრივ მოტივაცია მისცა ხელისფულებას, რომ დაეგეგმა, განეხორციელებინა, ჩაეტარებინა მონიტორინგი და შეეფასებინა სიღრმისეული პრევენციული პოლიტიკა. არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაული წარმოშობს ორმხრივ მსხვერპლს: თავად მოზარდი, რომელმაც მისი გამოუცდელობისდა გამო ჩაიდინა გაუაზრებელი საქციელი და მათი დანაშაულებრივი ქმედების შედეგად არსებული დანაკარგი/ მსხვერპლი. მრავალმხრივი საერთაშორის კვლევა აჩვენებს, რომ საზგოადოებისა და სახელმწიფოს რეაქცია უმრავლეს შემთხვევაში გამოიხატება რეპრესიული ქმედებებისა და სანქციების გაძლიერებაში მოზარდების მიმართ, რაც არავითარ შემთხვევაში არ არის მრთებული გამომდანრე ზემოთთქმულიდან. არსებული მდგომარეობის ტრანსფორმაცია შესაძლებელია მხოლოდ მრავალმხირივი კვლევების შედეგად და სამეცნიერო მიდგომებით. აუცილებელია, რომ გამოიკვეთოს პრობლემის რეალური არსი, მისი ბუნება-მახასიათებლები. შესწავლილ უნდა იქნას დანაშაულის ჩადენის მოტივები, გამოიკვეთოს, თუ რა გარემოებებია მამოტივირებელი და რა საფეხურების გადის იგი იქამდე, სანამ გადაწყვეტს, რომ განახორციელოს ჩანაფიქრი. უნდა დადგინდეს ნებისმიერი პირობა და გარემოება, რომელიც გახდა გარკვეული როლის მატარებელი მოცემულ ვითარებაში, როდესაც პირი მიმართავს დელიქვენტურ ქცევას. იგი უნდა დახასიათდეს ინდივიდუალურად, მისი მახასიათებელი თვისებებით და არსებული სოციუალური ლანდშაფტის გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას პირის წარსული და აწმყო, მისი ყოფითი ცხოვრება, ჩვევები და მიდრეკილებები. ამ ეტაპის წარმატებით გადალახვის შემდეგ მეტად რეალური და შესაძლებელია განხორციელდეს კონკრეტული პრევენცული პროგრამები და გაიწეროს პერსპექიტივები კონკრეტული და ზოგადი მიზნების და ამოცანების მისაღწევად. წინამდებარე ნაშრომი

არის მცდელობა იმისა, რომ განისაზღვროს, თუ რა არის სახელმწიფოს მთავარი მამოტივირებელი. რა გზებს მიმართავს იგი არასრულწლოვანთა დანაშაულის შემცირებისთვის და მისი პრევენციისთვის. რეალირად, რამდენად ეფექტური ამ მიმართულებიტ სახელმწიფო პოლიტიკის ლიბერალიზაცია და მკაცრი მიდგომებიდან რეაბილიტაციის მეთოდებზე გადსვლა და რეციდივის წინააღმდეგ ბრძოლა. ეს ნაშრომი შეიძლება იყოს საფუძველი მომავალი, უფრო ღრმა კვლევისთვის, რომელიც მოიცავს მეტად გაცილებით მეტ ასპექტს ამ თემის ირგბლივ და ზოგადად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაზე.[1] არასრუწლოვანთა მართლმსაჯულება დღეისკვალობით აქტიურად დგას დღის წესრიგში და მის განხორცილებეის პროცესში მონაწილეობას იღებს უამრავი სამთავრობო, თუ არასამთავრობო უწყება. მაკოორდინირებელი ორგანო არის საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

მოცემული კვლევა წარმოადგენს **სიახლეს** აკადემიურ სფეროში, რადგან საქართველოში სახელმწიფო პოლიტიკის კვლევა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის მიმართ ჯერ არ ჩატარებულა. არსებობს ცალკეული სიტუაციური ანალიზები, სტატისტიკური მონაცემები, ცალკეული სახელმწიფო პროგრამების ანალიზი, თუმცა ერთიანი სურათი, თუ რამდენად ეფექტურია სახელმწიფო პოლიტიკა აღნიშნულ სფეროში ჯერ არ დადგენილა.

აღსანიშნია მოცემული კვლევის **შეზღუდვა,** რომლის ფარგლებშიც, არჩეული თემის საკმაოდ ფართომასშტაბიანობის გამო ვერ მოხერხდა მისი სრულად ამოწურვა და თითოეული დეტალის ანალიზი. არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციაში უამრავი სამთავრობო უწყება, თუ კერძო სექტორი იღებს მონაწილეობას. საკითხის ამოსაწყრად აუცილებელია თითოეული მათგანის საქმიანობის განხილვა და მასთან დაკავშირებული ანალიზის გაკეთება, რაც უამრავ ასპექტს მოიცავს. შესაბამისად, მოცემული კვლევა ყურადღებას ამახვილებს იმ ძირითად და მნიშვნელოვან პროგრამებზე, რომლებიც უშუალოდ წარმოადგენენ სახელმწიფო პოლიტიკას.

[1] მ.შალიკაშვილი, გ. მიქანაძე. (თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016წ.), *არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება* , მეორე გამოცემა

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია საქართველოს მთავრობის მიერ არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის მიზნით წარმოებული პოლიტიკის ანალიზი.

კვლევის ამოცანები

- არასრულწლოვანთა მიერ კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის მოტივების იდენტიფიცირება.
- არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებული საქართველოში არსებული საკანონმდებლო ბაზის განხილვა.
- საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული პროგრამების განხილვა და მათ ეფექტურობაზე მსჯელობა.
- ბავშვთა დაცვის მიმართვის სისტემის ანალიზი და მასთან დაკავშირებული უახლოეს მომავალში გასატარებელი პროგრამების არსის განხილვა.
- სოციალური მომსახურების სააგენტოს როლის განსაზღვრა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევეცნიის მხრივ.

საკვლევი კითხვა და ჰიპოთეზა

1. **საკვლევი კითხვა:** რამდენად ეფექტურია სახელმწიფო პოლიტიკა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის მიმართ?
1. **ჰიპოთეზა:** არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის შემცირების ფონზე სახელმწიფო პოლიტიკა ამ მიმართულებით არის ეფექტური.

ცვლადები

დამოუკიდებელი: სახელმწიფოს მიერ წარმოებული პოლიტიკა არასრულწოვანთა დანაშაულის პრევენციის მიზნით.

დამოკიდებული: არასრულწოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული

თეორიული ჩარჩო

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით უამრავი კვლევაა ჩატარებული და საერთაშორისო დონეზე მრავალი თეორია არსებობს. მოცემული თემის ფარგლებში გადაწყდა გამოყენებულიყო ერთ-ერთი ყველაზე დახვეწილი და ღრმა კვლევებზე დაფუძნებული

თეორია, რომელიც მოიცავს ისეთ ასპექტებს, როგორებიცაა ბავშვთა სწორი აღზრდა, სახელმწიფო რეაგირება არასრულწლოვანთა დანაშაულზე, არასრულწლოვანთა რეაბილიტაციის მეთოდები, დასჯის მეთოდები, დილემა დასჯასა და შეწყალებას შორის და ა.შ. აღნიშნული ნაშრომის სახელწოდებაა ,,არასრულწლოვანთა დანაშაული, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულლება'' (Juvenile Crime, Juvenile Justice), რომლის ავტორებიც არიან ჯ.მაკკორდი (Joan McCord), ქ. სპატს ვიდომი (Cathy Spatz Widom) და ა. ნანსი (Nancy A.). ნაშრომი ეკუთვნის ,,მეცნიერების, ინჟინერიისა და მედიცინის ნაციონალურ აკადემიას'' (The National Academy of Science, Engineering, Medicine)[2]. სამაგისტრო კვლევის ფარგლებში აღნიშნული ნაშრომისთვის რელევანტურია წიგნში მოცემული თეორია სახელმწიფოს მიერ გასატარებელი პოლიტიკის შესახებ არასრულწლოვანთა დანაშაულის მიმართ, რომელსაც ავტორი წარმოიდგენს როგორც შერეულ, ბალანსის პოლიტიკად.[3] მთავრობას ხშირად დიდი ძალისხმევის გაღება უწევს იმისთვის, რათა დაიცვას შესაბამისი ბალანსი დანაშაულის ჩამდენ ბავშვთა და მოზარდთა ზრუნვაზე მათი ჯანსაღი განვითარებისთვის, და საზოგადოების სურვილს შორის, რომ დაისაჯონ ბოროტმოქმედები. ამ დაძაბულობას რეაბილიტაციასა და დასჯას შორის დანაშაულის ჩამდენ ბავშვებთან და მოზარდებთან, მივყავართ ახალგაზრდა ბოროტმოქმედების ორიენტაციის გაორებასთან. დანაშაულებრივი ქმედებანი უნდა იყოს ჩახშობილი, ნასამართლევი და დასჯილი. თუმცა, ამის მიუხედავად, დანაშაულის ჩამდენი ბავშვები და მოზარდები უნდა ღებულობდნენ განათელბასა და მხარდაჭერას ზრდის პროცესში. ეს უნდა გახდეს სახელმწიფო პოლიტიკის მიზანი ყველა ახალგაზრდისთვის, მათ შორის ახალგაზრდა კანონდამრღვევთათისაც.

საუკეთესო პასუხი კითხვაზე, თუ როგორ უნდა მოვეპყროთ ახალგაზრდა კანონდამრღვევებს, არის ის, რომ პირველრიგში უნადა შევისწავლოთ პირვნული, ოჯახური ფაქტორები, სოციალური და საზოგადოებრივი პირობები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ კანონდამრღვევთა განვითარებაზე; ახაგაზრდობის მიერ ჩადენილი

2 Joan McCord, Cathy Spatz Widom, and Nancy A. Crowell (2001წ.), *Juvenile Justice Juvenile Crime* https://www.nap.edu/read/9747/chapter/1 pg.3

[3]Joan McCord, Cathy Spatz Widom, and Nancy A. Crowell (2001წ.), *Juvenile Justice Juvenile Crime* https://www.nap.edu/read/9747/chapter/3#14 pg.13

დანაშაულის სახეობებზე; და ჩარევის ტიპებზე, რომლებსაც ყველაზე ეფექტურად და ქმედითად შეუძლიათ კანონდართვევების აღკვეთა ან მათი რეციდივი. მოცემული კვლევა ასევე განიხილავს ლიტერატურას ყველა ამ სფეროში, რათა გვაჩვენოს დანაშაულის ობიექტური სურათი არასრულწლოვნებს შორის და აშშ-ს მართლმსაჯულების სისტემა არასრულწლოვანთა მიმართებით.[4]

მეთოდოლგია

ნაშრომი აგებულია თვისებრივი კვლევის მეთოდებით. კვლევისთვის უმნიშვნელოვანიესია პირველადი წყაროების განხილვა და ანალიზი. საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი და იმპლიმენტირებული დოკუმენტები (კვლევაში განხლულია ორი მთავარი დოკუმენტი: არასრულწლოვანთა მარლმსაჯულების კოდექსი და არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია), რაც პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდება არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციას, ანგარიშები აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, სტატისტიკური მონაცემები წლების მიხედვით, რაც საშუალებას მოგვცემს დავინახოთ თუ რა ტენდენციაა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის მხრივ, რა შეიცვალა და როგორია მონაცემები დღეისკვალობით.

მოცემულ თემატიკაზე საერთაშირუსი დინეზე ფართომასშტაბიანი ემპირიული ცოდნა არის დაგროვილი ,შესაბამისად, არანაკლებ მნიშვნელოვანია მეორადი წყაროებისა და ლიტერატურის ანალიზი, რომელიც მოიცავს არსებულ თემატიკაზე კვლევითი ნაშრომების, სახლმძღვანელოების, ნიუსებისა თუ სტატიების ერთობლიობას.

კვლევისთვის რელევანტური საკითხების ანალიზისთვის რელევანტურია სიღრმისეული ინტერვიუების ჩატარება. მიზნობრივი შერჩევის საფუძველზე ინტერვიუ ჩაუტარდათ სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორს, საქართველოს პრობაციის ეროვნული სააგენტოს დირექტორს, სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მედიატოს, საქართველოს იუსტიციის

[4] Joan McCord, Cathy Spatz Widom, and Nancy A. Crowell (2001წ.), *Juvenile Justice Juvenile Crime* https://www.nap.edu/read/9747/chapter/3#14 გვ.14

სამინისტროს საგრანტო პროგრამების მენეჯერს, სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის ფსიქოლოგს.

ოპერაციონალიზაცია

საკვლევი თემატიკის გასანაალიზებლად მნიშვნელოვანია შევისწავლოთ ცვლადებს შორის უთიერთმიმართება. საკვლევი საკითხიდან გამომდინარე კვლევა მოიცავს დამოუკიდებელ და დამოკიდებულ ცვლადებს. დამოუკიდებელი ცვლადია სახელმწიფოს მიერ წარმოებული პოლიტიკა არასრულწოვანთა დანაშაულის პრევენციის მიზნით, ხოლო დამოკიდებული ცვლადია არასრულწოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული მათ შორის ურთიერთმიმართების შესწავლა შესაძლებელია იმ ინდიკატორებით, რომლებსაც მოიცავენ ცვლადები.

დამოუკიდებელი ცვლადის გაზომვის ინდიკატორებია პირველ რიგში იმპლიმენტირებული დოკუმენტები და სტრატეგიები, რომლების მიხედვითაც მოქმედებს სახელმწიფო აღნიშნული მიმართულებით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ინდიკატორია უშუალოდ პროგრამებისა და პროექტების მრავალფეროვნება და მათ დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და საბოლოო შეფასების მექანიზმების განხილვის შედეგად მიღებული მონაცემები.

რაც შეეხება დამოკიდებულ ცვლადს, ამ შემთხვევაში რელევანტურია არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის სიხშირის შესწავლა. ამ მხირვ მნიშვნელოვანია ისეთი ასპექტების ანალიზი, როგორიცაა არასრულწლოვანთა დანაშაულის ცნება, გარდატეხის პერიოდის მნიშვნელობის გააზრება, მოზარდის კრიმინოლოგიური ასპექტების განხილვა, დანაშაულის ჩადენის სტატისტიკური ანალიზის მოპოვება და ლატენტური დანაშაულის შესწავლა არასრულწლოვანთა შორის.

ლიტერატურის მიმოხილვა

მთავარი ნაშრომი, რომლითაც კვლევის ჩატარება საგრძნობლად გამარტივდა არის ,,არასრულწლოვანთა დანაშაული, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულლება'' (Juvenile Crime, Juvenile Justice), რომლის ავტორებიც არიან ჯ.მაკკორდი (Joan McCord), ქ. სპატს ვიდომი (Cathy Spatz Widom) და ა. ნანსი (Nancy A.). ნაშრომი ეკუთვნის ,,მეცნიერების,

ინჟინერიისა და მედიცინის ნაციონალურ აკადემიას'' (The National Academy of Science, Engineering, Medicine). წიგნში განხილულია არასრულწლოვანთა დელიქვენტური ქცევის მიზეზები, დანაშაულის ჩადენის მოტივები, არასრულწლოვანთა დანაშაულის კრიმონოლოგიური ასპექტები და სხვა მრავალი. თუმცა, ყველაზე მნიშვენლოვანი მათ შორის, რაც მოცემული კვლევისთვის მეტად რელევანტურია არის სახელმწიფო მიდგომები არასრუწლოვანთა დანაშაულის პრევენციის მიზნით. საქართველოს რეალობაში წიგნნიდან საინტერესო იყო სახელმწიფოს მიდგომების განხილვა, კონკრეტულად კი ჰიბრიდული, ე.წ. შერეული სისტემა, როდესაც დასჯასა და შეწყალებას შორის გონივრული არჩევანის გაკეთება ჯანსაღი მომავალი თაობის წინაპირობაა და რეციდივის შანსს ამიცირებს.

მოცემულ კვლევაში გამოყენებულია დიდი ქართველი მოაზროვნისა და ფსიქოლოგის ნაშრომი ,,განწყობის თორია'' . დიმიტრი უზნაძის მთავარი მიზანი აღნიშნულ ნაშრომში იყო შეესწავლა ქცევის ფენომენი და მასთან დაკავშირებული მიზანშეწონილობის საკთხები. ფსიქიკა არის ქცევის განმსაზღვრელი ფენომენი და იგი ხორცილედება მიზნობრივად. ლოგიკურად, ნებისმიერი არსება სულმდგმულობს იქიდან გამომდინარე, თუ რა ხედვვა და მიზანი გააჩნია. მისი ქმედება შეესაბამება მის მიზანს.

მორიგი აკადემიურ ნაშრომი, რომელიც მოცემულ კვლევაშ იქნა გამოყენებული არის 2016 წელს თბილისში, ფრაიბურგსა და სტრასბურგში გამოცემული სახელმძღვანელო გამოცემული სახელმძღვანელო ,,არასულწლოვანთა მართლმსაჯულება'', რომლის ავტორებიც არიან მ.შალიკაშვილი და გ.მიქანაძე. ნაშრომი აკადემიურ წრეში საკმაოდ ღირებულია, რაზეც მეტყველებს მისი მხარდამჭერი ორგანიზაციები: თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტი, UkAid, სასჯელის აღსრულების კვლევითი ცენტრი და PRI. მოცემულ სამაგისტრო ნაშრომში სახელმძღვანელოდან უამრავი რელევანტური ინფორმაცია იქნა მიღებული საქართველოში არსებულ დანაშაულის პრევენციის პოლიტიკასთან მიმართებით. პირველ რიგში, სახლმძღვანელო განიხილავს არასრულწლოვანთა დანშაულის პრევენციის პოლიტიკის ირგვლივ სახელმწიფოში უკანასკენელ პერიოდში განვითარებულ მოვლენებს, წარმოადგენს შესაბამის სტატისტიკას და საუბრობს

განხორციელებული რეფორმების შესახებ. ნაშრომი ,ასევე, საყურადღებოა, რადგან იგი ფაქტობირვად ინიციატორია არასრულწლოვანთა მარლმსაჯულების კოდესის განხილვის მცდელობის მხრივ. ნაშრომი მიმოიხილავს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებს კრიმინოლოგიის, სოციოლოგიის, სისხლისსამართლებრივ და ადამიანთა უფლელების კუთხით. სახელმძვანელოში წარმოდგენილია კვლევისთვის რელევანტური სტატისტიკები, მაგალითად მოზარდთა დანაშაულის ბოლო წელბის დანაშაულის სტატისტიკა. კერძოდ, 2006-2015 წლებში მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობა წლების მიხედვით. ასევე, საინტერესოა ტექსტში წარმოდგენილი სტატისტიკური ანალიზიც, რომელიც მოზდართა ციხეში მოთავსების დინამიკას ასახავს. ლატენტური დანაშაული, რომლის შესახებაც კვლევები საქართველოში საკმაოდ ჭირს, აღნიშნული სახელმძღვანელო საკმაოდ ფართომასტაბით მომოიხილავს, ხსნის მის მნიშვნელობას ქვეყანაში და წარმოადგენს კონკრეტულ დასკვნებს მის შესახებ. გარდდა სტატისტიკსა, სამაგისტრო კვლევისთვის აქტუალურია მოზარდთა ასაკობრივ-ფისოქოლოგიური ანალიზი. სახელმძღვანელო ამ ასაკის ზოგიერთ ასპექტს მიმოიხილავს და სხვადასვა ფისოქოლოგების ნაშრომებიდან მოჰყავს კონრეტული თეზისები, თუ რას ნიშნავს გარდატეხის ასაკი. იმისათვის, რათა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციაზე შესაძებელი იყოს მუშაობა, გარდა საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებისა, უმნიშნველოვანესია ამ ასაკობრივი ჯგუფის ფსიქოლოგიის ანალიზი ადგილობრივ დონეზე. დასავლურ პოლიარქიულ კულტურაში აღზრდილი არასრულწლოვანი და აღმოსავლეთ ევროპის წიაღში აღზრდილი მოზარდი მრავალი კუთხით განსხვავდება. შესაბამისად, მოცემული სახელმძღვანელო ცდილობს ახსნას, თუ რას ნიშნავს მოზარდობის ასაკი ქართულ რეალობაში. თუმცა, ამავე დროს იყენებს საერთაშორისო დონეზე მრავალი მეცნიერის ნაკვლევ ციტატებსა და ჰიპოთეზებს. გარდა ამისა, საკმაოდ ფართოდაა გაშლილი არასრულწლოვანთა დანაშაულის ცნების ანალიზი. ანალიტიკოსი გოძიაშვილის მიხედვით, დანაშაული მოზარდთა შორის გამოწვეულია ოთხი ცხოვრებისეული სფეროდან: სწავლა, ყოფიერება, მუშაობა, დასვენება. დამატებით, სახელმძვანელო, როგორც უკვე ვახსენე, არის მცდელობა არასრუწლოვნთა მართლმსაჯულების ანალიზისა და მას ცალკე თავები ეთმობა ნაშრომში. კოდესის მიხედვით

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მოზარდის საუკთესო ინტერესებს. სამაგისტრო კველვისთვის აქტუალურ საკითხს წარმოადგენს განრიდებისა და მედიაციის პროგრამები, რომელიც 2010 წელს ,დანაშაულის პრევენციის ცენტრის დაარსებამდე იქნა იმპლიმენტირებული. განხილული სახელმძღვანელო პროცედურულად აღწერს პროგრამის სქემას. განრიდება და მედიაცია უნდა წარმოადგენდეს აღდგენითი მართლმსაჯულების ნაწილს.

მორიგი ნაშრომი, რომელიც სამაგისტრო კვლევისთვის აქტუალური იყო არის არასრულწლოვანთა კანონსაწინააღმდეგო ქცევის ხელშემწყობი ფაქტორების შესახებ ჩატარებული კვლევა, რომელიც უამრავ რელევენტურ თემას აქცევს ყურადღებას. ანგარიში მომზადდა კვლევითი ჯგუფი აიესთის მიერ 2015 წელს, რომელიც პოლიტიკურ კვლევას წარმოადგენს. ნაშრომში ფართოდ არის გაშლილი მოზარდების მიერ კანონსაწყნააღმდეგო ქცევითი აღქმა და მისი შეფასება. ასევე, იგი მიმოიხილავს ისეთ საკითხს, როგორიცაა არასრულწლოვანტა კანონსაწინააღმდეგო ქვევის ხელშემწყობი ფაქტორებს. მოცემული სამაგისტრო კველვა პირველრგიში ინტერესდება სახელმწიფოს მიერ წარმოებული პოლიტიკით არასრულწლოვანთა დანაშუალის პრევენციის მიმართ და ამისტვის საჭიროა შესწავლილ იქნას არასრულწლოვანთა დანაშაული. ეიესთის მიერ ჩატარებული კვლევა ცდილობს პასუხი გასცეს ამ საკითხს. იგი მიმოიხილავს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიცაა ოჯახური გარემო, აღზრდის მეთოდები და მიდგომები მოზრდთან, მოზარის გარემოცვის მნისვნელოვნებას, კრიმინალური ავტორიტეტების მნიშვნელოვენბას, ცხოვრების სტილი სხვადასხვა მიმართულებით, აკადემიური გარემო და ა.შ.

თავი I. არასრულწლოვანთა კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის მოტივები

1.1 არასრულწლოვანთა დანაშაულის ცნება

მეცნიერული განსაზღვრა არ არსებობს იმისა თუ რას ნიშნავს არის რეალურად არასრულწლოვანი და მოზარდობის ასაკი. ეს დაუდგენელი ცნებაა. თუმცა, პირობითად შეიძლება ითქვას, რომ არასრუწლოვნების ასაკი არის ინტერვალი ბავშვობასა და ზრდასრულობას შორის. ქვეყანაში დამკვიდრებული სტიგემები, კულტურა, სოციალურ-პოლიტიკური გარემომებიბი და სხვა მნიშვნელოვანი ასპექტები განაპირობებენ იმას, თუ როდის იწყება მოზარდობის ასაკი და როგორ განვითარება ექნება ამ ასაკში მყოფ ახალგაზრდას.[5] საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით და არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის კოდესის მიხედვით არასრულწლოვნად ითვლება პირი, რომელიც ჯერ არ გახდა 18 წლის. მინიმალური ასაკი, როდესაც პირი მიეცემა სისხლის სამართლის პასუხისმგებაში არის 14 წელი, ხოლო მაქსიმალური ასაკი განისაზღვრება 18 წლით. ცალკე ასაკობრივი ჯგუფია 18-21 წელი. ამ ასაკში მოზარდზე ვრცელდება იგივე კანონის ოცდამეთვრამეტე-მეორმოცე მუხლის ნორმები. კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდი არის 18 წლამდე პირი, რომლის მიმართაც განისაზღვრა საფუძვლიანი ეჭვი, რომ მან დაარღვია სისხლის სამართლის კოდექსის მიერ განსაზვრული წესი/დებულება.[6] საინტერესოა, რომ სტატისტიკის მიხედვით, 2008 წლისთვის 15-24 წლის ადამიანების რაოდენობა საქართველოში 725 ათასია, რაც არ აღემატება მთელი მოსახლეობის 17%-ს.[7]

1.2 არასრულწლოვანთა გარდატეხის პერიოდი

დიმიტრი უზნაძის მიერ 1940 წელს დაწერილ ,,ზოგად ფსიქოლოგიაში'' ვკითხულობთ: ,,საყურადღებოა, რომ სქესობრივი მომწიფების პერიოდში მოზარდის ყურადღების კონცენტრაცია ქვეითდება''.[8] ამ სიტყვებით ცნობილ მეცნიერს სურს

---

[5] D. Brauer, Kassel, Hessen. (2008წ.) *Autonomie and Familie* S. 381.

[6] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი , 09/10/2009

[7] 2009 წლის 30 მარტის მდგომარეობით www.Statistics.ge

[8] უზნძე დ. ამონარიდი მისი ნაშრომიდან ,,ზოგადი ფსიქოლოგია'' გვ.163

გაამახვილოს ყურადღება იმის თაობაზე, რომ არასრულწლოვანების ასაკში მეტად აქტუალურია ,, სქესობრივი მოწიფულობის'' საკითხი, ან/და გარდატეხის ასაკი. ამ საკითხის ირგვლივ ასევე ცნობილი მეცნიერი და ფსიქოლოგი შ.ჩხარტიშვილიც წერს, რომ ბავშობის ასაკი სრულდება მაშინ, როდესაც გარდატეხის ასაკში გაჩენილი მოთხოვნილებები იძენს სოციალურ ფონს და მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს არასრულწლოვნის ქმედებაზე და ფაქტობრივად განმსაზღვრელია მისი სამომავლო საქმიანობის. XIX საუკუნეში მოზარდობის პერიოდი განისაზღვრობიდა წლის ასაკიდან. დღეისათვის ცნობილია რომ სქესიბრივი სიმწიფე არის ინტერვალი 10-18 წლებში გოგონებისთვის, ხოლო ბიჭებისთვის 12-21 წელი.[9] მოწიფულობის პერიოდი მნიშვნელოვანია ადამიანის ცხოვრებაში არამხოლოდ ბიოლოგიური, არამედ ფსიქიკური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც. ამას ასევე თან ახლავს მოზარდის ირგვლის არსებული სოციალური წრე, იქნება ეს ოჯახი, სანაცნობო წრე, სკოლა და თუ სხვა. მოზარდისთვის ეს ძირითადად დიდ გამოწვევად იქცევა, რადგან ხასიათის გარდაქმნა, მოთხვონილებების გაჩენა და სხვა მრავალი ფსიქიკური ასპექტი მის ცხოვრებაში ქმნის დაბრკოლებებს, რომლებთანაც გამკლავება მას ამ პერიოდში არ შეუძლია. გარდატეხის ასაკი 21 წლამდე გრძელდება.[10] ჰორმონთა ცვლილებები ამ დრომდე გრძელდება და 5-8 წელის მანძილზე სხეულში ხდება ცვლილებები , რაზეც არ ახდენს ზეგავლენას გარეგანი ფაქტორები. მოზარდის ორგანიზმში ცვლილებას ძირითადად ორი ფერმენტი და ჰორმონი განაპირობებს- ტესტოსტერონი და ოსტროგენი.[11]

1.3 არასრულწლოვანთა ქმედების კრიმინოლოგიური ასპექტები

კრიმინოლოგიური ასპექტები უნდა ეფუძნებოდეს სხვადასხვა სტატისტიკურ ანგარიშებს. ეს ანგარიში მუდმივად განახლებული უნდა იყოს სახელმწიფო უწყებების მიერ და გამუდმებით უნდა ექვემდებარებოდეს მონიტორინგს.[12] კრიმინოლოგიის კვლევის ობიექტია დანშაულის რაოდენბირივი ნაწილი და მისი აგებულება, მისი დინამიკა და მდგომარეობა. კრიმინოლოგ შნეიდერის აზრით, კრიმინალურ

[9] ჩხარტიშვილი, ს., (1954წ.), აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია გვ.51
[10] Schaffstein, F., Beulke, W., (2005) S. 5; Kaiser, G., (1973) pg. 38; ასევე ინწკირველი ზ., (2000წ), გვ. 88.
[11] Hurrelmann, K., (2010წ.) *Spatmoderne Jugend-Erziehung Des beratens Wohlbenfinden* pg. 26.
[12] H. Bode., *Pediatric applications of transcranial Doppler sonography* pg.35

სტატისტიკას რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულება აქვს[13]: სახელმწიფო ორგანოებმა უნდა შეადგინონ დანაშაულებრივი სტატისტიკა და გააკონტროლონ საქმიანობის ანგარიში. ძალოვანი სტრუტურები, ისეთი როგორცაა პრობაციის ეროვნული სააგენტო, პოლიცია და სასამართლო, უნდა აწარმოებდნენ საკუთარი საქმიანობის პრეზენტირებისთვის სტატისტიკას. ასევე, ოფიციალური სტატისტიკა არის კვლევისთვის რელევანტური ინსტრუმენტი. მის მიხედვით დგინდება ქვეყნის ვითარება კრიმინოლოგიის მიმართულებით და დანაშაულის ჰიპოთეტური მიზეზები. ასევე, მნიშვნელოვანია რომ მოპოვებული სტატისტიკა არის საზოგადოების ინფორმირების წყარო იმის შესახებ, თუ რა ვითარებაა სახელმწიფოში კრიმინალის თვალსაზრისით, სოციუმს ემცნობა კრიმინალური მდგომარეობის დინამიკა და სტუქტურა. აღნიშნული ამარტივებს საზოგადოებისთვის მსხვერპლის როლის თავიდან აცილებას. (მაგალითისთვის, ავტომობილის სწორი მეთვალყურეობის ცოდნა, ბინაში აივანის კარების ღიად დატოვება და ა.შ.) მნიშვნელოვანია, რომ კრიმინოლოგიური სტატისტიკა არის ქვაკუთხედო სახელმწიფო პრევენციული პოლიტიკის დასაგეგმად, რათა დანაშაულის ეფექტური არიდება მოხდეს და დაიგეგმოს შესაბამისი პროგრამა-ღონისძიებები. ასევე, აღნიშნული სტატისტიკა გვაუწყებს სსისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზებსა ,და პირიქით, მის დადებით მხარეებს. კრომონოლგიური სტატისტიკის საფუძველზე ყალიბდება სახლმწიფო კრიმინალური პოლიტიკა ხდება კანონმდებლობაში გარკვეული პუნქტების ჩანაცვლება, განახელბა და დამატება/ამოღება.[14]

1.4 არასრულწლოვანთა დანაშაულის სტატისტიკის ანალიზი

XXI საუკუნუს საწყის წელს სასამართლო განაჩენის მიხედვით ბრალდებული მოზარების 15% სასჯელაღსრულებითი დაწესებულებაში მოხვდა. 2006 წელს ეს პროცენტი გაორმაგებული იყო, როდესაც ციხეში ბრალდებულთა 37,4% მოხვდა. 2000 წლის შემდეგ ციხეში მოხვედრილთა რაოდენობა გამუდმებით იზრდებოდა. ამ წელს ციხეში დაჭერილთა რაოდენობა იყო 58 მოზარდი. ხოლო, 2007 წელს ეს ციფრი 426-ს

[13] W. Clark Sneider, M.D. Ph.D., Muriel W. Lambert (1987წ.), *Melanoacanthoma and related Disorders* pg.508

[14] მ.შალიკაშვილი, გ. მიქანაძე. (თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016წ.), *არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება* , მეორე გამოცემა გვ. 6

შეადგენდა, რაც ნამდვილად არ იყო სახელმწიფოს ნორმალური განვითარებისთვის სასარგებლო. რა თქმა უნდა, ეს საკითხი ვერ დარჩებოდა დღის წესრიგს მიღმა, და ხელისუფლებამ დაიწყო აქტიური მსჯელობა იმის თაობაზე, თუ რა იყო გამომწვევი ფაქტორი არასრულწლოვანი პატიმრების რაოდენობის ასეთი მკვეთრი ზრდისა. აშკარა იყო, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკის სამომედო გეგმაში აშკარადა ხარვეზები გამოიკვეთა და ე.წ. ნულოვანი ტოლერანტობა არ იყო ამ შემთხვევაში გამართლებული. მეორე მხრივ, ჰიპოთეტურად, შესაძლებელი იყო, რომ დანაშაულის ზრდის მთავარი ობიექტები თავად არასრულწლოვნები იყნვნენ. არსებულ სტატისტიკას თუ დავეყრდნობით, მკაფიოდ დავინახავთ, რომ 21-ე საკუნეში მოზარდ-მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა 4-6% შორისაა. ამ მხრივ პიკი 2006-08 წლებში იყო, როდესაც სახელმწიფო კრიმინალური პოლიტიკა უმკაცრესი იყო და არ იყო დაფუძნებული ისეთი საერთაშორისოდ აღიარებული ნორმები და პროგრამები , როგორიცაა ,მაგალითად, განრიდება-მედიაციის პროგრამა[15]. ამ მხრივ ვითარება გაუმჯობსედა 2011-2014 წლებში, მას შემდეგ რაც სახელმწიფო პოლიტიკა დანაშაულის პრევენციის მიმართულებით ლიბერალურ ყაიდაზე გადავიდა. შესაბამისად იკლო არასრულწლოვან მსჯრავრდებულთა საერთო რაოდენობამაც.

1.5 ლატენტური დანაშაული არასრულწლოვანთა შორის.

ლატენტური დანაშაული არის ისეთი ტიპის სისხლის სამართლის კოდესის მუხლების დარღვევა, როდესაც სამართალდამცავმა ორგანოებმა ვერ დააფიქსირეს ჩადენილი დანაშალი და ვერ გამოავლინეს დამნაშავე პირი, და შესაბამისად სტატისტიკურმა ანალიზმა ვერ ასახა და ვერ დაარეგისტრირა მოცემული დარღვევა. მსგავსი სიტუაცია იმაზე ხშირად ხდება, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. იგი საკმაო ზეგავლენას ახდენს ქვეყნის კრიმინალურ ვითარებაზე. ლატენტური დანაშაულის გამოვლენა შესაძლებელია იმ ადამიანების მეშვეობით, რომლებიც სპეციალური მეთოდიკით გამოიკითხებიან. კითხვები შეიძლება იყოს შემდეგი სახის- ჩაუდენიათ კი ოდესმე მათ დანაშაულებრივი ქმედება თუ არა? ყოფილან კი ოდესმე დანაშაულებრივი

[15] მ.შალიკაშვილი, გ. მიქანაძე. (თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016წ.), *არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება* , მეორე გამოცემა გვ. 12

ქმედების მსხვერპლი? იციან თუ არა ფაქტების შესახებ, როდესაც მესამე პირმა ჩაიდინა დანაშაული და ა.შ. 2010 წელს გერმანიაში ჩატარდა კვლევა, რომელიც გულისხმობდა შემთხვევითი შერჩევის მეთოდით მოსახლეობისი გამოკითხვა და გამოიკვეთა ფაქტი, რომ რეალურად ჩადენილი დანაშაული გაცილებით მეტია რაოდნეობრივად, ვიდრე შესაბამისი მაკონტროლებელი ორგანოების მიერ დარეგისტრირებული ოფიციალური ფაქტები.[16] მრავალი მკვლევარი მიიჩნებს, რომ ლატენტური დანაშაული რეგისტრირებულ დანაშაულს 3- ჯერ აღემატება. ვანდალიზმი და ქურდობა ლატენტური დანაშაულის ერთ-ერთი გავრცობილი სახეობაა. კაიზერის მიხედვით, არასრულწლოვანთა დანაშაული გაცილებით ხშირია, ვიდრე ამის შესახებ სამართალდამცველებმა იციან და ოფიციალურ სტატისტიკაში არის შეტანილი აღნიშნული ფაქტები. არ არსებობს მზარდი, რომელსაც რაიმე სახის დანაშაული არ აქვს ჩადენილი, თუნდაც ეს იყოს მსუბუქი გადახრა კანონიდან. ლატენტური დანაშაულის კვლევის საგანი ასევე არის ისეთი სიტუაციის ანალიზი, როდესაც ოფიციალურად მოზარდს დანაშაული არ ჩაუდენია, თუმცა მან დაარღვია საზოგადოებრივად მიღებული წესები. მაგალთისთვის, არ დაესწრო სასწავლო პროცესს. ლოგიკურად ისმის კითხვა, თუ სამართადამცველებისთვის ჩადენილი დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მოპოვება რთულია და ხშირად შეუძლებელიც კი, მოზარდი კი თავის მხრივ განუწყვეტლად სჩადის ე.წ. ფარულ ცოდვებს, მაშინ რამდენად ხისტი უნდა იყოს გამოვლენილი დანაშაულის მიმართ რეაგირება? ლატენტური დანაშაულის საფუძვლიანმა კვლევამ აჩვენა, რომ ამა თუ იმ ჯგუფებს შორის დიდი განსხვავებაა დანაშაულის გავრცელების, სტრუქტურისა და ინტენსივობის მხრივ. ასევე, ლატენტური დანაშაულებრივი ქმედების კვლევების თანახმად, არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაული მსუბუქი ხასიათისაა. მძიმე (ან განსაკუთრებით მძიმე) ხასიათის დანაშაულების გამოვლენა ლატენტური დანაშაულის კვლევებით თითქმის შეუძლებელია. საინტერესოა, რომ როგორც ლატენტური, ასევე ოფიციალურად რეგისტრირებული დანაშაულის შემთხვევაში გოგონების მიერ ჩადენილი დანაშაული გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ბიჭების. ლატენტური დანაშაულის კვლევის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ოფიციალურად რეგისტრირებულია ძირითადად მძიმე და განსაკუთრებით

[16] S. Javadov, A. V. Kuznetsov. (1998წ.), *Mitochondria: The Cell of Stress* pg.82

მძიმე დანაშაულები. 8. არასრულწლოვნები, რომელთა მიერ ჩადენილი დანაშაული ცნობილი გახდა პოლიციისათვის და დაისაჯნენ სასამართლოს მიერ, არაფრით განსხვავდებიან სხვა იმ არასრულწლოვნებისაგან, რომლებიც დასჯილნი არ არიან. 9. [17]ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ შემთხვევით დანაშაულის ჩამ-დენი და დამნაშავე არასრულწლოვნები. განსხვავებულ უნდა იქნეს მათი რესოციალიზაციის პროგრამებიც. საზოგადოებრივი განწყობის კვლევისას გამოიკვეთა, რომ ლატენტური დანაშაულის ზოგიერთი ასპექტის მიმართ საზოგადოება საკმაოდ ტოლერანტულადაა განწყობილი და ხშირად სამართალდამცველ ორგანოებს არ ამცნობენ შესაბამისი ფაქტების შესახებ. და ბოლოს, გამოიკვეთა, რომ მძიმე დანაშაულის შემთხვევები საკმაოდ იშვიათია სოციუმში. [18]

[17] D.Khakzad., *Criminologische Aspekte Volkerrechtlicher Verbrevhen*, Pg.290

[18] მ.შალიკაშვილი, გ. მიქანაძე. (თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016წ.), *არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება* , მეორე გამოცემა გვ.13

თავი II არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის მაკოორდინირებელი უწყებები

2.1 საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი

საქართველოსთვის 2014-2015 წლები მნიშვნელოვანი წელია დელიქვენტურ ქცევასთან ბრძოლის მექნიზმების შემუშავების მხრივ. ამ პერიოდში საქართველოის იუსტიციის სამინისტრომ ევროკავშრითან , გაეროს ბავშვთა ფონდთან (Uniceff) და სხვადასხვა არასამთავრობო უწყებებთან ერთობილივი მუშაობის შედეგად გამოსცა არასრულწლოვანთა მარტლმსაჯულების კოდექსი. აღნიშნული პროექტის ირგვლივ მსჯელობა, კონსულტაციები და პრეზენტაცია შედგა სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე. გარდა ამისა, პროექტი განიხილეს სასამართლო და სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სამუშაო ჯგუფებში. აღნიშნულ კონფერენციებზე დამსწრე ექსპერტებმა აქტიურად განიხილეს წარმოდგენილი დოკუმენტი და აღინიშნა, რომ კოდექსი შესაბამისობაშია მოყვანილი ყველა წამყვანი ქვეყნის სტანდარტებთან და ამჟამად მნიშვნელოანია მისი შესაბამისი ორგანოების მიერ სწორი იმპლიმენტაცია. კოდექსის განხილვის შემდეგ, რაც საკმაოდ სიღრმისეულად წარიმართა სამუშაო ჯგუფებში, გადაეგზავნა მთავრობას, რათა მისი მომხდარიყო მისი ექსპლუატაცია დამტკიცების შედეგად. 2015 წლის მარტის შუანახევარში აღნიშნული პროექტი განხილვის შედეგად მთავრობამ საბოლოოდ დაამტკიცა და გადასცა საკანონმდებლო ორგანოს. ხოლო, ივნისის შუაპერიოდში თავისმხრივ საკანონმდებლო ორგანომ მიიღო აღნიშნული კოდექსი, და მისი ამოქმედების საბოლოო თარიღი მომდევნო წლის 1 იანვარი დაადგინა.

მართლმსაჯულების კოდექსი, ემპირიულ კვლევებს თუ დავეყრდნობით, პოლიარქიული ქვეყნების გამოცდილების შედეგად შექმნილი დოკუმენტი და წარმატებული პრაქტიკაა[19] და საქართველოსთვისაც უმნიშვნელოვანესია, მით უმეტეს, თუ მას განვიხილავთ კანონმდებლობის ლიბერალიზაციის პრიზმის მეშვეობით. ჯერ კიდევ შორეულ 1924 წელს დადგენილ იქნა მოზარდთა მიმართ განსაკუთრებული

[19] გერმანია, სერბეთი, ხორვატია, ჰოლანდია, იტალია, პორტუგალია, რუმინეთი, მაკედონია.

მიდგომებისა და განსხვავებული დამოკიდებულების აუცილებლობა ბავშვის უფლებების ჟენევის დეკლარაციის მიხედვით.[20] 1954 წლის გაეროს გენერალური ასამბლეის დეკლარაციის მიხედვით განისაზღვრა, თუ რას გულისხმობს ზემოთთქმული განსაკუთრებული მოპყრობა და დამოკიდებულება:[21] მოზარდთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება- მოცემული კოდექსი გულისხმობს მოზარდა საუკეთესო ინტერესების შელახვისგან თავის მაქსიმალურად არიდებას. იგულისხმება, მოზარდი ახალგაზრდისთვის ისეთი პირობების შექმნას, როდესაც იგი თავს იგრძნობს უსაფრთხოდ, ჯანმრთელად, ექნება განათლებაზე წვდომა, ექნება განვითარების პერსპექტივა, უზრუნველყოფილი იქნება რესოციალიზაცია და რეალიბილტაციის შესაძლებლობა და სხვა მნიშვნელოვანი ინტერესები, რაც ექვემდებარება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებსა და დებულებებს. აღნიშნული უნდა იყოს გათვალისწინებელი უშუალოდ არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლებიდან გამომდინარე და არა კოლექტიურად. ინდივიდუალური მიდგომა- კოდექსში გაწერილ პრინციპებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია, რადგან შეუძლებელია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინება, თუ არ არსებობს ფსოქოლოგიური დიფერენცირება საუკეთესო ინტერესების განსაზღვრა ინდივიდუალური მიდგომებით. ამ შემტხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს მოზარდის საჭიროებანი, ოჯახური ვითარება, არასრულწლოვნის გამოცდილება და ა.შ. არასრუწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი გულისხმობს ამ პრინციპის ეტალონად გამოცხადებას და პირისგან, რომელიც აღძრული პროცესის მწაროებელი იქნება მოითხოვს, გადაწყვეტილების დროს ნებისმიერ შემთხვევაში მოზარდს მიუდგეს ინდივიდუალურად და განსაკუთრებით სენსიტიური ყურადღება გამოიჩინოს ინდივიდის მიმართ.[22] სპეციალიზაცია-სპეციალისტები, რომლებიც

---

[20] ჟენევის დეკლარაცია ბავშვის უფლებების შესახებ (1924წ.), ერთა ლიგა.

[21] ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს გენერალური ასამბლეის დეკლარაცია (1959წ.), ბავშვის უფლებათა კონვენცი

[22] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების გაეროსმინიმალური სტანდარტული წესები (პეკინის წესები) (1985), არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულისმართლმსაჯულების სახელმძღვანელო პრინციპები (2005), თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნებისდაცვის გაეროს წესები (ჰავანას წესები) (1990), არასრულწლოვანთა სამართალდარღვევების პრევენციის გაეროსსახელმძღვანელო პრინციპები (ერ-რიადის წესები) (1990), ძალადობისგანბავშვთა დაცვის კონვენცია (ლანზაროტეს კონვენცია) (2007), ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულებისევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო პრინციპები (2010), არასრულწლოვანი დამნაშავეებისმიმართ გამოსაყენებელი სანქციების ან ზომების შესახებ ევროპული წესები (ევროპული წესები) (2008), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორი მოდელური კანონი - „მართლმსაჯულება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების საქმეებზე“ და „სისხლის სამართლის მართლმსაჯულება არასრულწლოვანი მოწმისა

არასრულწლოვნებთან იმუშავებენ აუცილებლად უნდა იყვნენ გადამზადებულნი. ასევე, უმნიშვნელოვანესია ღონისძიებების გატარება მათ მიერ, ვინც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კუთხით კომპეტენტურები იქნებიან. სხვა შემთვევაში, დიდი ალბათობაა იმისა, რომ განხორციელებული პროექტი არ იყოს ადეკვატურობის ფარგლებში და ხარვეზები დაფიქსირდეს, რაც აუცილებლად დააზიანებს მოზარდთა ინტერესებს. ანტიდისკრიმინაციული მიდგომა- აღნიშნული პრინციპი კრძალავს არასრულწლოვნის დისკრიმინაციას როგორც მისი, ასევე მისი კანონიერი წარმომადგენლის ისეთი მახასიათებლების მიხედვით, რის გამოც დისკრიმინაცია აკრძალულია საქართველოს კონსტიტუციის, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით.

ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია ეწინააღმდეგა საქართველოს კონსტიტუციას და ეს პრინციპი უცვლელია არასრულწლოვნებთან მიმართებითაც. ასევე, პრაქტიკაში ხშირია არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის დისკრიმინაცია, რაც ასევე ეწინააღმდეგება კონსტიტუციურ დებულებას. აღნიშნული გაწერილია კანონში ყველა ფორმის დისკრმინინაციის აღმოფხვრის შესახებ და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალში. აღნიშნულ კანონში დისკრიმინაციის შესახებ საწყისშივე გაწერილია, რომ იკრძალება ყოველგვარი დისკრიმინაცია რასის, ენის, ასაკის, კანის ფერის, წარმოშობის, აღმსარებლობის და სხვა მნიშვნელოვანი პიროვნული ასპექტების მიხედვით[23] მე-7 მუხლის მიხედვით, თანამოზიარეობა არის მორიგი პრინციპი, რაც გულისხმობს იმას, რომ პრევენციული ღონისძიება არასრულწლოვნის მიმართ არ უნდა აღემატებოდეს მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ზომას, არამედ უნდა იყოს მისი თანაზომიერი. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ მხედველობაში იქნას მიღებული მოზარდის ფსიქო-სოციალური მდგომარეობა, ასაკი და სხვა ნებისმიერი საჭიროება. კოდექსის ლიბერალური მხარე ყველაზე მეტად ჩანს მისი ალტერანტიული ზომების პრიორიტეტულობაში და მსუბუქი პრევენციული მეთოდების გამოყენებაში. კოდექსის მიხედვით არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია უნდა ხორციელდებოდეს

და დაზარალებულის მონაწილეობით“.

[23] საქართველოს კანონის დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (2014წ.), მუხლი 1.

მაქსიმალურად მსუბუქი საშუალებებით და ალტერნატიული მექანიზმებით. შესაბამისად, სასჯელის შეფარდების განხილვისას არასრულწლოვანს ,უპირველესყოვლისა, ყველაზე ნაკლები სიმძიმის განაჩენის შეფარდებაზე უნდა იყოს მსჯელობა. თუ ეს შეუძლებელია, მხოლოდ ამის შემდეგ უნდა განიხილებოდეს შედარებით მძიმე სასჯელი, თუმცა ამავე დროს უნდა დადგინდეს ობიექტურობის ფარგლებში, რომ მსუბუქი სასჯელი მიზანს ვერ მიაღწევდა. არასრულწლოვანთა კოდექსში მკაფიოდაა გაწერილი, რომ მოზარდის მიმართ ნებისმიერი სასამართლო განჩინება უნდა ემსახურებოდეს მოზარდის საუკეთესო ინტერესებს და მისი უფლებების დაცვას. ასევე უნდა უზრუნველყოს მოზარდის სამართლევრივი გარანტიების დაცვა. მორიგი ნიუანსი, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების იმპლიმენტაციას მოჰყვა საქართველოში არის განრდიების პროგრამა- რომელიც გულისხმობს მოზარდის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან ჩამოცილება. აღნიშნული პროგრამის მთავარი აზრია არასრულწლოვანი დაიცვას რეცივისგან და ხელი შეუწყოს მის სრულფასოვან რესოციალიზაციასა და რეაბილიტაციას. დაეხმაროს მას საზოგადოებაში თავი დაიკვიდროს ისე, რომ ზურგს უკან შავი ლაქა არ ჰქონდეს. სისხლის სამართლებრივი დევნა კი უკიდურესი ფორმა უნდა იყოს. მას შემდეგ, რაც პროკურორკი კონკრეტულ საქმეს განიხილავს, თუ იგი მივა იმ დასკვნამდე, რომ ჩადენილი დანაშაული აღემატება ყოველგვარ ფარგლებს, მხოლოდ ამის შემდეგ ხდება შეუძლებელი მოზარდის განრიდების პროგრამის მიღმდა დარჩენა და ხდება მისი სასჯელახსრულებაში მოთავსება. კოდექსის მიხედვით განრიდების პროგრამა მაშინაც კი გამოიყენება, თუ არასრულწლოვნის მიერ დაშავებული მსუბუქი, ან მძიმე ფორმისაა. უპირველესყოვლისა, უნდა გამოიკვეთოს პროგრამის ბენეფიტი კონკრეტულ შემთხვევებში და უნდა დადგინდეს, რომ იგი უზრუვნელყოფს მოზარდის რესოციალიზაციას და რეალიბილიტაციას და ხელს შეუყწყობს ახალგაზრდს, რომ არ მიმართოს რეციდივს. იმისთვის, რათა მოზარდი აკმაყოფილებდეს განრიდების პროგრამაში მოთავსების პროტოკლურ წესებს, აუცილებელია, რომ პროკურორმა განიხილოს ჩადენილი დანაშაულის ტიპი, სიმძიმე, მოზარდის ასაკი, აუცილებელია რომ ყველა შემთხვევაში მოზარდის საუკეთესო ინტერესები იქნას გათვალისწინებული.

აუცილებელია, ბენეფიციარის შეფასების ანაგარიშს გაცნობა და მისი წარსული ისტორიის გაცნობა.

პატიმრობის შეფარდება არასრულწლოვნისთვის უნდა იყოს ყველაზე უკიდურესი ფორმა მართლმსაჯულების კოდესის მიხედვით. ამ უკანასკნელის მიხედვით ასევე სავადებულოა არასრულწლოვანზე გამოყენებულ იქნას კანონით განსაზღვრული სასჯელის ნაკლებლად მძიმე ფორმები და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში იქნეს გამოყენებული პატიმრობა. კოდექსის მორიგი მუხლის მიხედვით, ნებისმიერ არასრულწლოვანს აქვს მის წინააღმდეგ აღზრული საქმის განხილვის პროცესში მონაწილეობის უფლება. ანუ, კოდექსი რთავს მას უფლებას, რომ ან თავად, ან მისი კანონიერი წარმომადგენელი დაესწროს სასამართლო პროცესს და თავადაც მიიღოს მონაწილეობა. მას ენიჭება უფლება, რომ მისი აზრი მოსმენილ და გათვალისინებულ იქნას მისი ასაკის, ჩადენილი დანაშაულის ფორმის, პიროვნული განვითარებისა და სხვა ასპექტების შესაბამისად. კოდექსი მოზარდის ადვოკატს ანიჭებს უფელბას, რომ მიუხედავად არასრულწლოვნის ნებისა, საჭიროების შემთხვევაში დამოუკიდებლად გაასაჩივროს გადაწყვეტილება ან უარნი განაცხადოს საჩივარზე. შეთანხმება უნდა მოხდეს მოზარდის კანონიერ წარმომადგენელთან. ყველაზე მნიშვნელოვანი ნებისმიერ შემთხვევაში მოზრდის ინტერესების დაცვაა. თუ აზრთა თანხვედრა არ ხდება კანონერ წარმომადგენელსა და ადვოკატს შორის, მაშინ პირველ რიგში გათვალისწინებული უნდა იყოს მოზარდის საუკუთესო ინტერესები და აქედან გამომდინარე მიენიჭოს ამა თუ იმ პოზიციას უპირატესობა. დამატებით, პროცესში არსებული ნებისმიერი საფეხური და ეტაპი უნდა იყოს გასაგები მოზარდისთვის. კოდექსის მორიგი პუნქტის მიხედვით, არასრულწლოვანს აქვს უფლება თავად მიიღოს მონაწილეობა სასამართლო პროცესში. მეათე მუხლი ანიჭებს მოზარდს თავად იყოს დამსწრე და მონაწილე საკითარი პროცესის. მას აქვს უფლება პირადად ან კანონიერი წარმომადგენლის სახით მიიღოს მონაწილეობა პროცესზე. ასევე, მას აქვს უფლება, რომ მისი აზრი მოსმენილი და გათვალისწინებული იქნას.

კოდექსში შეტანილი პუნქტებიდან ერთ-ერთი ყურადსაღებია მოზარდის პირადი მონაცემებისა და ცხოვრების დაცვა. ანონიმურობა და კონფიდენციალურობა ხშირ შემთხვევაში აუცილებელი პირობებია, რისი დაცვას უწევს სახელმწიფოს

არასრულწლოვანთან მიმართებით. პირადი მონაცემების გამჟღავნება შესაძლებელია მხოლოდ კანონმდებლობით დაშვებულ შემთხვევებში.[24]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი შეაფასა დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორმა, ლადო ჯავახიშვილმა. მისი თქმით, კოდესი ძალიან გამართული დოკუმენტია და პრაქტიკაშიც ისევე კარგად დაინერგა, როგორც საკანონმდებლო თვალსაზრისით მომზადდა სწრაფად და ეფექტიანად. მისი თქმით, არაერთი ქვეყანა არის დაინტერესები საქართველოს გამოცდილების გაცნობით, სადაც იგულისხმება არამხოლოდ საბჭოთა ქვეყნები, არამედ ევროპის ქვეყნებიც. კითხვაზე, არსებობს თუ არა რაიმე ხარვეზი, რისი გამოსწორებაც არის საჭირო მოცემულ დოკმენტში ქვეყნის კულტურული სპეციფიკიდან გამომდინარე, დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის პასუხი იყო, რომ აღნიშნული დოკუმენტის განხილვა ხდებოდა ადგილობრივ დონეზე, შემდეგ რეგიონულ დონეზე და იუსტიციის სამინისტროში. მისი თქმით, არსებობს პრაქტიკოსთა ჯგუფი, მულტიდისციპლინური ჯგუფი, რომელიც სწრაფად და ეფექტიანად მუშაობს ამ მიმართულებით და ამზადებს საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტს. თუმცა, მისივე თქმით, არ არსებობს კოდექსი, რომელშიც რაიმე სახის ხარვეზი მაინც არ შეინიშნება. [25]

2.2 არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია

დანაშაულის პრევენცია არასრულწლოვანთა შორის სახელმწიფოსთვის წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხედავას და პოლიტიკის ნაწილს. დანაშაულის პრევენციის ეროვნული ცენტრი საქართველოში არის ის საჯარო სტრუქტურა, რომელსაც ევალება არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის უზრუნველყოფა. იგი ექვემდებარება იუსტიციის სამინისტროს, რომელიც თავის მხრივ არის მთავარი მაკოორდინირებელი ორგანო პოლიტიკის კეთების ამ მიმართულებით. აღნიშნული სტრატეგიის უმთავრესი მიზანია სახელმწიფო პოლიტიკის შექმნა, რომელიც წარმატებით უზრუნველყოფს მოზარდთა დანაშაულის პრევენციას. მისი მიზანია, ისეთი პროგრამების ჩამოყალიბება, რომელიც ეფექტურად აღმოფხვრავს არასრულწლოვანთა დანაშაულს ქვეყანაში.

---

[24] *არასრულწლოვანთა კანონსაწინააღმდეგო ქცევებუს ხელშემწყობი ფაქტორების პოლიტიკური კვლევა* ეისითი, 2015 გვ.5

[25] ინტერვიუ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორთან.

სტრატეგია ასევე ითვალისწინებს ინოვაციური პგრამების იმპლიმენტაიას, რომელიც გულისხმობს გასამართლებული მოზარდების რესოციალიზაციას და რეაბილიტაციის მეთოდებს. მიღებული სტრატეგია სრულ ჰარმონიაში და თანხვედრაშია საერთაშორისო გამოცდილებასთან და დასავლური გამოცდილებას სრულიად ითვალისწინებს, ასახავს რა სხვადასხვა მოზარდთა კონვენციის დებულებებსა და მიღებულ ნორმებს. ასევე, ასახავს გაერთიანებული ერების მიერ მიღებულ დოკუმენტს, რომელშიც გაწერილია დელიქვენტური ქცევის შეზღუდვის გაიდლაინი. სტრატეგია მოიცავს დანაშაულის პრევეცნიის დონეებს დიფერენცირებული მეთოდით, სადაც სამივე დონესთვის გაიცემა შესაბამისი რეკომენდაციები და თითოეული მიზნობროვი ჯგუფისთვის გაწერილია შესაბამისი მითითებები. არასრულწლოვანთა დანაშაული გულისხმობს დანაშუალის სამ დონეთ აღქმად. აქედან პირველი დონის დანშაულის პრევენციაში იგულისხმება შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება საქართველოში მცხოვრებ ნებისმიერ მოზარდზე. მეორე დონის პრევენციაში იგულისხმება შესაბამისი პროექტების განხორციელება იმ მოზარდებისთვის, რომლებსაც არ შეუსრულდათ 18 წელი და ეკუთვნიან რისკჯგუფს დანშაულის ჩადენის მხრივ. მეორე დონის მიზანია იმ ფაქტორების შემცირება, რომლებსაც საერთო ჯამში არასრულწლოანი დანაშაულის ჩადენამდე მიჰყავს. მესამე დონე კი თავისმხრივ გულისხმობს რეციდივის ლიკვიდაციას და ორიენტირებულია ისეთ პროგრამებზე, რომლებიც მოზარდის საზოგადოებაში რეინტეგრაციას შეუწყობენ ხელს.[26] სტრატეგის სტრუქტურა აგებულია თანამიდევრულად, სადაც საწყისი ნაწილი ეთმობა პრინციპებსა და მიზნებს, ხოლო დანარჩენი ნაწილი კი პრევენციის დონეების მიხედვით იძლევა ცოდნას.

დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორისთვის ინტერვიუს დროს დაისვა კითხვა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია და რა დანიშნულებას ატარების იგი. რესპონდენტის თქმით, სტრატეგია მნიშვნელოვანია, რადგან მისი მეშვეობით ნათელი ხდება სახლემწიფოს ხედვა. იგი

[26] არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია, (2015წ.).

ეხმარება არასამთავრობო სექტორს, კერძო სექტორს და მოქალაქეებს აღიქვან, დაინახონ და სწორად შეაფასონ, თუ რამდენად სწორად მუშაობს სახელმწიფო. [27]

არასრულწლოვანთა ჩართულობა

სტრატეგია ითვალისწინებს დემოკრატიულ პრინციპებს და ადამიანის უფლებების მაქსიმალურ მხარდაჭერას, რაც ვლინდება იმაში, რომ იგი მხარს უჭერს მოზარდის მიერ საკუთარი აზრის თავისუფლად დაფიქსირების შესაძლებლობას და ეხმარება მას თავად შეიტანოს წვლილი იმ საბოლოო გადაწყვეტილებაში, რაც პირდაპირ თუ ირიბად მას ეხება. ეს უკანასკნელი, მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით ეროვნული პოლიტიკის გაძლიერებისთვის და პროგრამების ჩამოყალიბების მიმართულებით. მით უმეტეს, მრავალი სოციოლოგიური კვლევის საფუძველზე დასტურდება, რომ მოზარდის ჩართულობა პროექტების და პროგრამების გაწერაში მთლიანი ეროვნული პრევენციული პოლიტიკის ეფექტურობისთვის ბენეფიტურია და ,ხშირ შემთხვევაში, უკეთეს შედეგიც კი დგება ასეთი მიდგომის შემთხვევაში, რადგან არასრულწლოვანი უფრო ნათლად ხედავს საკუთარ საჭიროებას კონკრეტულ ღონისძიებაში. შესაბამისად, სტრატეგია ითვლისწინებს რა მოზარდის აზრს, მიუთითებს კონკრეტულ მიდგომებზე. პირველ რიგში, ითვალისწინებს სამართაწარმოების მიმდინარეობისას მოზარდთა მონაწილეობას და მათი აზრის მიღებას კონკრეტული გადაწყვეტილებების დროს. ასევე, სტრატეგიის მიხედვით არასრულწლოვანი მონაწილეობს ეროვნული პრევენციული პოლიტკისა და ამ მიმართულებით სხვადასხვა პროექტების შემუშავებაში. მნიშვნელოვანია ასევე, რომ მოზარდებს ექნებათ შესაძლებლობა დააფიქსირონ საკუთარი აზრი სპეიალურ ღონისძიებებზე, ტრენინგებსა და სხვადასხვაკონფერენციებზე.

მნიშვნელოვანია წახალისების ფაქტორი. იმისათვის, რომ არასრულწმოვანმა დაინახოს საკუთარი წვლილი ეროვნულ პოლიტიკაში, აუცილებელია მისი როლის წახალისება, შესაბამისად სტრატეგია უზურნველყოფს ამ ფაქტორს და არასრულწლოვანის ინიციატივას წაახალისებს შესაბამისი გადაწყვეტილებებით.

[27] ინტერვიუ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორთან.

სტრატეგია გმობის ყველა სახის დისკრმინაციას, იქნება ეს ეთნიკური, ინტელექტუალური, ასაკობრივი თუ სხვა. და ბოლოს, რაც ასევე უმნიშვნელოვანიესია, არასრულწლოვანი თითოეულ ზემოთთქმულ პუნქტში აბსოლუტურად თავისუფალია და თითოეული მისი ნაბიჯი ჩართულობის მხრივ არის სრულიად ნებაყოფლობითი, რაც სტრატეგიას დამატებით უპირატესობას ანიჭებს და ავლენს მის დემოკრატიულ ხასიათს ნებისმიერი ასაკის მოქალაქესთვის.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების როლი

ისევე როგორც სხვა უმარავ სფეროში, მედიას დიდი როლი აკისრია მოზარდა განვითარების პროცესზე, რადგან მას აქვს უამრავი ინსტრუმენტი, რაც პირდაპირ თუ ირიბად პასუხს აგებს მოზარდის დელიქვენტური ქცევის არსებობა/არარსებობაზე. საერთაშორისო დონეზე აღიარებულია , რომ მედიას უდიდესი ზეგავლენა აქვს მოზარდის მიდრეკილების განსაზღვრაზე. მას შეუძლია ნეგატიური დამოკიდებულება გაუჩინოს მავნე ნევთირებების მიმართ, თუმცა სტატსტიკურად არის უამრავი ფაქტი, როდესაც პირიქითაც ხდება და მოზარდის ანტისაზოგადოებრივი და დელიქვენტური ქცევის განმაპირობებელი ზუსტადაც რომ მედია საშუალებებია. ბოლო დროს ყველაზე დიდი როლი ამ მიმართულებით სოციალურ მედიას აქვს. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ გარდა ნეგატიური ან პოზიტიური რეკლამისა, მედიას ძალუძს მოზარდის დაინტერესებს სახელმწიფო პროგრამებისადმი და მასში ინტერესის გაჩენა, რაც ჩართულობას განაპირობებეს. აუცილებელია, რომ მედია საშუალებებმა აქტიურად გააშუქონ სახელმწიფოს მიერ შექმნილი პროგრამები და მიუწოდოს შესაბამისი ენით მათ მონაწილეობის მიღებისკენ ნებოყოფლობითობის ფარგლებში.

პერსონალური მონაცემების დაცვა

მოზარდის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, რომ მისი პერსნალური მონაცემების დაცვა იყოს უზრუნველყოფილი, რაც ხშირ შემთხვევაში ანონიმურობასა და ინფორმაციის კონფუდენციალურობას გულისხმობს.[28] საერთაშორისო დებილებებისა და სტანდარტების მიხედვით[29] ინფორმაციის გაუმჟღანებლობის უზრუნველყოფა

[28] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის სტრატეგია, (2014წ.).
[29] ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია (1990), მუხლი 40 (2) (ბ, vii)).

აუცილებელია მართსაჯულების აღსრულების ნებისმიერ საფეხურზე. პოლიციასთან ურთიერთობით დაწყებული სხვადასხვა სამთავრობო ორგანოებთან ურთიერთობით დამთავრებული. ანონომურობისა და კონფიდენციალობის დაცვა პასუხისმგებლობა აღებული აქვს სასჯელაღრულებაში ჩართულ ნებისმიერ პირს, იქნება ეს ადვოკატი, სოციალური მუშაკი თუ პროკურორკი.[30] დანაშაულის პრევენციის ცენტრისა და ნებისმიერი სხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო უწყების მიერ შემუშავებულ პროგრამებში ეს პრინციპი აუცილებლად დაცვული უნდა იყოს, თუმცა განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მე-2 და მე-3 დონეებს, ვინაიდან ამ უკანასკნელში გაერთიანებული ჯგუფები წარმოადგენენ რისკის ქვეშ მყოფ მოზარდებს, რაც მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებასა და საქმისადმი მაქსიმალურად სენსიტიურ მიგომას. მნიშვნელოვანია რომ მოზარდის სტიგამტიზაცია არ მოხდეს. პერსონალური ინფორმაციის დაცვა არ გულისხმობს მოზარდის შესახებ ინფორმაციის დაუკავებლობას, პირიქით უნდა ხდებოდეს მის შესახებ მონაცემების რეგისტრაცია, უნდა ხდებოდეს ინფორმაციის შენახვის და გაცვლის ვალდებულება, თუმცა ეს ყოველივე უნდა ემსახურებოდეს მოზარდის საუკეთესო ინტერესებს და არავითარ შემთხვევაში არ უნდა არღვევდეს მის უფლებებს. მოცემული თემატიკა იმდენად ფართო მნისვნელობისაა, რომ მისი შემოფარგვლა მხოლოდ სახელმწყოფი სტუქტურებით შეუძლებელია. სახელმწიფო პოლიტიკა დანაშაულის პრევენციის კუთხით უნდა იყოს მრავალწახნაგიანი, რაც გულისხმობს არამთავრობო ორგანოებთანაც, აუცილებელია სხვადასხვა დისციპლინების გაერთიანება და აქედან გამომდინარე ერთიანი, კოორდინირებული მიდგომის შემუშავება. აუცილებელია პასუხისმგებლობების დელიგირება და თანამშრომლობის ფარგლებში ინფორმაციის მიწოდება. სტრატეგიაზე მუშობაში მონაწილეობა მიიღეს უამრავმა სახელმწიფო უწყებამ და კერძო სექტორმა, თუმცა საქართველოში მთავარი მაკოორდინირებლ ორგანოს წარმოადგენს იუსტიციის სამინისტრო. ასევე პასუხისმგებლობა ნაწილდება მთავარ პროკურატურაზე, შსს-ზე , შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროზე, სპორტისა და ახაგაზრდობის სამინისტროზე.

[30] გაეროს ზოგადი კომენტარი N10 (2007), „ბავშვთა უფლებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში“, პრ. 64-67.

2.3 დანაშაულის პრევენციის ცენტრის საქმიანობა

დანაშაულის პრევეცნიის ცენტრი შეიქმნა პრეზიდენტის ბრძანებით 2012 წელს . იგი ექვემდებარება იუსტიციის სამინისტროს. იუსტიციის მინისტრი პრევენციის ცენტრის უშუალო მეთვალყურეა. ცენტრის უმთავრესი მიზანია დანაშაულის შემცირება ქვეყანაში და რეციდივის წინააღმდეგ ბრძოლა. ცენტრი მუშოაბს ბენეფიციარებთან, რომლებიც დანაშაულის ჩადენის რისკს ატარებენ და ბენეფიციარებთან, რომლებიც დანაშაულის პრევენციის პირველ დონეს მიეკუთვნებიან. როგორც უკვე ამ ნაშრომში არაერთხელ იქნა ხსენებული ცენტრი მუშაობსი დანაშაულის პრევენციის სამივე დონეზე, თუმცა უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ყოფილპატიმართა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროგრამების გაძლიერება და რეციდივის თავიდან აცილებას. ცენტრი დაარსდა 2012 წელს იუსტიციის მინისტრის ბრძნებით და წლის ბოლოს ექსპლუატაციაში შევიდა. გარდა ზემოთხსენებული პროგრამებისა, 2012 წლიდან ცენტრმა საპილოტედ დაიწყო ისეთი პროგრამის განხორციელება, როგორიცაა განირდება და მედიაცია. ცენტრის ფარგლებში ამოქმედდა რეფერალური სისტემა და ამასთან დაკავშირებული გადამისამართების მექანიზმი. პრევენციის ცენტრს გააჩნია საკუთარი სამოქმედო სტრატეგია და დებულება. ასევე, აღსანიშნია, რომ ცენტრის ფარგლებში აქტიურიურად იქნმნება და ხორციელდება ინოვაციური პროგრამები. თუმცა, თითოეული პროექტი გადის ე.წ. საპილოტე პროცედურას და მისი წარმატებით განხორციელებისა და შესაბამისი შედეგების მიღების შემდეგ ხდება შესაძლებელი მისი განმეორება. ცენტრს გააჩნია სამუშაო სტრატეგია ნებისმიერი პროექტის შეფასებისთვის, რაც გულისხობს სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის, პროექტების მენჯერის, ახაგლაზრდული მუშაკისა და სხვა პროფესიონალთა აქტიურ ჩართულობას.[31]

დანაშაულის პირველი დონის პრევენციის სამმართველო

დანშაულის პრევენციის ცენტრის პირველი დონის სამმართველო გათვლილია ქვეყანაში მცხოვრებ ყველა მოზარდზე და შესაბამისად პროგრამებიც ისეა აწყობილი, რომ ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლოს მაში მონაწილეობის მიღება. პირველი დონის

[31] დანაშაულის პირველი დონის პრევენციის პროგრამები., დანაშაულის პრევენციის ცენტრის ოფიციალური ვებ. გვერდი www.prevention.gov.ge

სამმართველო უზრუნველყოფს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას, ეხმარება მოზარდს მოხალისეობრივი საქმიანობის დახვეწაში და ავითარებს ინტელექტუალური მიმართულებით.

პირველი დონის პრევენციული მექანიზმი მოზარდს ავითარებს არაფორმალური განათლების კუთხით. უბიძგებს მას აქტივობისკენ, იქნება ეს გონბრივი თუ ფიზიკური. ამ მიმართულებით მოზარდის ასაკი შემოიფარგლება არა 18, არამედ 21 წლით. ნებისმიერ ახალგაზრდას შეუძლია იყოს ჩართული პროექტებში. სამმართველოში ხორციელდება უამრავი პროგრამა, თუმცა მათ შორის გამოიყოფა რამდენიმე ძირითადი, აპრობირებული პროგრამა. აღნიშნული პროგრამები შეიძლება მოიცავდეს კულტურულ განათლებას, დამოუკდებლად აზროვნების განვითარებას, მეცნიერული ცოდნის შეძენას, სპორტულ აქტივობებს, ხელოვნების სფეროში სხვადასხვა დარგების დასწავლასა შემდგომ პრეზენტაციის უნარს , არაფორმალური განათლების მიღებას და ა.შ. პირველი დონეზე შესაძლებელია ასევე ჩაერთოს დანაშაულის პრევენციის სხვა დონეზე მიმაგრებული ბენეფიციარი. ხშირია შემთხვევები, როდესაც ყოფილ პატიმართა ოჯახის წევრებიც ერთვებიან გარკვეულ მოხალისეობირვ საქმიანობაში. ასეთი ტიპის კოლაბორაცია და კოოპერაცია პოპულარიაზაციას უწევს ცხოვრების ჯანსაღ წესს და მოზარდის ცნობიერებაში აყალიბებს სწორი განვითარებისკენ სწრაფვას. ასევე რეცივიდის პროცენტს საგრძნობლად ადაბლებს.

სამმარტველოს ძირითადი პროგრამებია:

ლიდერთა სახლი - აღნიშნული პროგრამის მთავარი მიზანია მოზარდების მიზიდვა ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციისაკენ და მათი მოტივირება, რათა მეტი გულმოდგინებით მოეკიდნონ სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებას, მოხალისეობრიობას, მიიღონ სამოქალაქო და არაფორმალური განათლება. ცენტრის დაარსების შემდეგ პროგრამამ მალევე მოიკიდა ფეხი საქართველოს რამდენიმე ქალაქში, თუმცა დღეისათვის იგი 13 ქალაქზეა გავრცობილი: თბილისი ;გორი,რუსთავი, სამტრედია;მარნეული,ქუთაისი,ოზირგეთი,მესთია,თელავი და ა.შ. პროექტის ფარგლებში ტარდება უამრავი საინტერესო ღონისძიება, ისეთები როგორებიცაა სპორტული შეჯიბრი, კინო საღამოები, წიგნის განხილვა და პრეზენტაცია, მსჯელობა პროფესიულ არჩევანზე, სხვადასხვა ტრენინგ-სემინარები და კონფერენციები.

აღნიშნული პროგრამა არასრულწლოვნებს აძლევს კარგ შანსს დახვეწონ ფიზიკური კონდიციები, გონებრივი განვითარება, ინტელექტუალური ცოდნა, ისწავლეონ გუნდური და მოხალისეობირივი საქმიანობა. ასევე, მათ ეძლევათ შესაძლებლობა თავად გაწერონ საკუთარი პროექტი და იყვნენ ინიციატორები მისი ექსპლუატაციისთვის.

მოხალისე - აღნიშნული პროგრამა მიზნად ისახავს მოზარდებში მოხალისეობრიობის განვითარებას. პროექტის ფარგლებში მოზარდები გადიან ტრენინგ კურსებს, რის შმედეგაც თავად საქმდებიან იუსტიციის სახლში და მოქალაქეებს ეხმარებიან მათი საჭიროებების დაკმაყოფილებაში. ეს პროგრამა საერთაშორისო დონეზე აპრობირებულია და ჩვეულებრივ საკმაოდ კარგ შედეგს იძლევა. საქართველოში მისი იმპლიმენტაცია იუსტიციის სამინისტროს მიერ მორიგი წარმატებული ნაბიჯია.

ორი თაობა - პროექტის მიზანია სასკოლო ასაკის მოზარდებმა გარკვეული ღონისძიებები ჩაატარონ მოხუცთა თავშესაფარში. იგულისხმება ნებისმიერი მოხალისეობრივი საქმიანობა საჭიროების მიხედვით. იქნება ეს ოთახის დალაგება, წიგნის წაკითხვა, ყოფიერი პრობლემების დაძლევაში დახმარება თუ სხვა. პროგრამას ორმხრივი ფენეფიტები გააჩნია. ერთის მხირვ პირველი დონის ბენეფიციარები იღებენ ე.წ. ,,life skill''-ებს, მათში ვითარდება სოლიდარობის გრძნობა, ხოლო მეორე მხრივ მოხუცებულები თავს დაფასებულად საჭიროდ გრძნობენ.

წერილები ჯარისკაცებს - პროექტის ფარგლებში სკოლის მოწაფეები წერენ წერილებს, რომლებიც შემდეგ ქართველ ჯარისკაცებს ეგზავნებათ ავღანეთში. პროექტში ძირითადად დაბალი კლასის მოწაფეები იღებენ მონაწილეობას. პროექტი ეხმარება მოზარდებს სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამაღლებაში და ცნობიერების განვითარებაში. ამავე დროს ამ აქტით ისინი საკუთარ პატივისცემას გამოხათავენ იმ ჯარისკაცების მიმართ, რომლებიც სამშობლოს იცავენ შორეული ქვეყნებიდან.

დანაშაულის მეორე დონის პრევენციის სამმართველო

მეორე დონის პრევენცია გულისხმოს რისკის ქვეშ მყოფ მოზარდებთან მუშაობას და მათზე გათვლილი შესაბამისი პროგრამებისა თუ პროექტების შემუშავებას, გაწერასა და განხორციელბას. გარდა უშუალოდ ბენეფიციარებთან მუშაობისა, მეორე დონის სამმართველო აქტიურად მუშაობს ბენეფიციარების ოჯახის წევრებთან, მათ მშობლებთან. ასევე, მნიშვნელოვანია მონაცემთა ბაზის აქტიურად წარმოება.

დანაშაულის მეორე დონის პრევენციის მუშაობის სპეციფკაში უკეთესად გასარკვევად ინტერვიუ ჩაუტარდა ამავე სამმართველოს ფსიქოლოგ, ელენე ბუღაძეს. კითხვაზე, თუ რა კრიტერიუმებით მიეკუთვნება ბენეფიციარი დანაშაულის მეორე დონის პრევენციის სამმართველოს, მისი პასუხი იყო, რომ ბენეფიციარის გადმომისამართების შემდეგ, იგი ავსებს კითხვარებს, რომლითაც ფასდება აგრესიისა და წესებისადმი მორჩილების დონე. რესპონდენტის თქმით, თუ გამოვლინდა აგრესიის მაღალი დონე აქედან გამომდინარე ვლინდება, რომ ბენეფიციარმა შეიძლება ჩაიდინოს დანაშაული. კითხვაზე, თუ რა შედეგების მიხედვით ფასდება პროგრამის ეფექტურობა, რესპონდენტის პასუხი იყო, რომ ბენეფიციარებში (არა ყველაში) პრე და პოსტ ტესტების შედეგად შეინიშნება, რომ მათში დაიწია აგრესიის დონემ და ,ასევე, წესებისადმი მორჩილების დონეც დასტაბილურდა. კთხვაზე არის თუ არა თავად რესპონდენტი კმაყოფილი სახელმწიფოს მიერ მიწოდებული სერვისებით აღნიშნული სეგმენტისთვის (რისკჯგუფები), ფსიქოლოგის თქმით სახელმწიფო სერვისები საკმაოდ ეფექტურია იმისთვის რომ კრიმინალური მაჩვენებელი ქვეყანაში საკმაოდ შემცირდეს. და ბოლო კითხვას, თუ რა იქნებოდა მისი რეკომენდაცია პოლიტიკის წარმოების აღნიშნულ სფეროში, მისი პასუხი ცალსახა იყო, რომ საჭიროა მეტი პროფესიონალი ბავშვთა ფსიქოლოგიის განათლებით.[32]

სამმართველოში მოქმედებს უამრავი რელევანტური პროგრამა და პროექტი. მათ შორის არის საპილოტე პროგრამებიც, რომლებიც ქართულ რეალობაში იცდებიან. დღეისათვის ცენტრში ტარდება უამრავი ტიპის ტრენინგი. პროექტებიდან აღსანიშნავია ,,ახალგაზრდული კლუბი'', რომლის ამოცანაცაა მოზარდისთვის ჯანსაღი გარემოსკენ ორიენტირის მიმართვა და ჯანსაღი სოციუმის ფორმირება. პროგრამის ფარგლებში მოზარდები იკრიბებიან ერთ სივრცეში ,სადაც თავისუფალ ატარებენ დროს სასარგებლო აქტივობების ჩატარებით. პროექტში ძირითადად ისეთი მოზარდები ხვდებიან ,რომლებიც მიეკუთვნებიან რისკ ჯგუფებს და მიდრეკილება აქვთ დელიქვენტური ქცევისაკენ. მათთვის საჭირეობის და მიხედვით პროფესიონალები ატარებენ ტრენინგებს და სემინარებს სხვადასხვა აქტუალურ თემებზე.

[32] ინტერვიუ ფსიქოლოგ ელენე ბუღაძესთან.

შენ ხარ ნიჭიერი- მოგეხსენებათ, რომ დანაშაულის მეორე დონის პრევენციის სამმართველომ დაიწყო პილოტური პროექტი "შენ ნიჭიერი ხარ". მისი მიზანია არასრულწლოვნებში დანაშაულებრივი ქცევის პრევენცია ხელოვნების მეშვეობით.

პროექტის ფარგლებში შეიქმნა ხელოვნების სტუდია, სადაც ახალგაზრდები, სრულიად უსასყიდლოდ, შეისწავლიან მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრასა (ელექტრო გიტარა, ბას გიტარა, აკუსტიკური გიტარა, დასარტყამი, ელექტრო პიანო) და ფოტოგრაფიას. აღნიშნულ სწავლებას უზრუნველყოფენ მოხალისე მასწავლებლები. შეიქმნა მუსიკალური ბენდი, ფოტოგრაფიის მასწავლებლები კი ეხმარებიან მოსწავლეებს ფოტოალბომების შექმნაში. პროექტში ჩართული ბენეფიციარებისგან დაკომპლექტებული ბენდი სხვადასხვა საზაფხულო მუსიკალურ ღონისძიებაში ერთვებიან. ისინი უფასოდ და კონკურსგარეშე რამოდენიმე კომპოზიციის ასრულებენ.[33]

რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია

2012 წლის მიწურულს იუსტიციის მინისტრის ინიციატივით საქართველოში დაიწყო ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამა. უნდა აღინიშნის, რომ ეს არის პირველი ინიციატივა სახელმწიფოს მხრიდან, რომელიც განკუთვნილია ყოფილ მსჯავრდებულთა დასახმარებლად. ეს ინიციატივა მიზნად ისახავს საპატიმრო დაწესებულებების დატოვების შემდგომ, არამხოლოდ მათ სოციუმში კვლავ ინტეგრირებას, არამედ სრულ რეაბილიტაციასა და მათ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან წევრებად დაბრუნებას, რაც პირდაპირპროპორციულია განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილების. კანონთან კომფლიქტში მყოფი ადამიანის რეაბილიტაცია იწყება გაცილებით ადრე, ვიდრე ის დატოვებს საპატიმრო დაწესებულებას, ეს ხდება იმ მომენტიდან, როდესაც მას მიესაჯა განსაზღვრული სასჯელი. ეს არის პროცესი, როდესაც სასჯელის მოხდის განმავლობაში მათ ეხმარებიან დანაშაულის გააზრებაში . მათთან მუშაობს პრობაციის ეროვნული ბიუროსა და დანაშაულის პრევენციის ცენტრის მულტი გუნდი, რომელშიც შედის, როგორც სოციალური სამუშაოს სპეციალისტები, ასევე ფსიქოლოგები, იურისტები და საჭიროების შემთხვევაში ფსიქიატრები. ისინი მსჯავრდებულებს აწვდიან ყოველგვარ

[33] დანაშაულის მეორე დონის პრევენციის პროგრამები., დანაშაულის პრევენციის ცენტრის ოფიციალური ვებ. გვერდი www.prevention.gov.ge

ინფორმაციას პროგრამისა და სერვისების შესახებ. ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამაში მათი ჩართვა ბუნებრივია ნებაყოფლობითია. რაც ყველაზე საინტერესოა, ცენტრის სერვისებით სარგებლობა შეუძლიათ, როგორც პროგრამის ბენეფიციარებს, ასევე მათ ოჯახის წევრებსაც. პროგრამის ფარგლებში, სოციალური სამუშაოს სპეციალისტები/მთავარი სპეციალისტები ყოფილ პატიმრებთან მუშაობენ 2 წლის განმავლობაში, თუმცა ხშირ შემთხვევაში პროცესის ხანგრძლივობა ინდივიდუალურია, რაც დამოკიდებულია მათ შინაგან მოტივაციაზე, ასევე რამდენად ეფექტიანად მუშაობს მასთან სოციალური მუშაკი ან/და ფსიქოლოგი. ეს არის, როგორც ინდივიდუალური მუშაობის პროცესი , ასევე ჯგუფური თერაპიები, კულტურული ღონისძიებები, დამატებითი სამუშაოები და სივრცის შექმნა, რომლებშიც პატიმრები უშუალოდ დაწესებულებებშიც არიან ჩართულნი. პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ პირები, რომლებიც წარსულში იხდიდნენ სასჯელს ან/და აღმკვეთი ღონისძიების სახით შეფარდებულ პატიმრობას(ე.წ პრობაციონერები) საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს პენიტენციურ დაწესებულებაში.

პატიმართა რეაბილიტაციის პროცესის ეფექტიანობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია სხვადასხვა ორგანიზაციების ჩართულობა, იქნებიან ეს არასამთავრობო თუ სამთავრობო ჯგუფები. ამისთვის არსებობს კონკრეტული პლატფორმა, რომელიც ეტაპობრივად მართავს სამუშაო შეხვედრებსა და ტრენინგებს. რის ფარგლებში იქმნება შემდგომ უკვე რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის ერთიანი სახელმწიფო სტრატეგია.

რაც შეეხება ხელმისაწვდომ სერვისებთან წვდომას, 24 საათის განმავლობაში ცხელი ხაზი უზრუნველყოფს, რომ უფასო ზარის მეშვეობით, ნებისმიერ პირს ჰქონდეს შესაძლებლობა, მიიღოს ინფორმაცია მისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე.

2.4 არასრულწლოვანთა განრიდება და მედიაცია

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსს ბევრი ქვეყანა აფასებს, როგორც ერთ-ერთ პროგრესულ ბირთვს და აღნიშნავენ, რომ არაფრით ჩამოუვარდება ევროპულ სანდარტებს. 2010 წლის ივლისში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში საპირწონე ცვლილება შევიდა. ამ ცვლილებასთან პარალელურ

რეჟიმში ამოქმედდა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების განრიდებისა და მედიაციის მექანიზმი. პროგრამა 2010 წლის 15 ნოემბერს შევიდა ძალაში, ხოლო ამავე წლის 19 ნოემბერს უკვე პირველი არასრულწლოვანი იქნა დანაშაულს განრიდებული. განრიდება-მედიაცია თავის თავში გულისხმობს, სახელმწიფოს მიერ გათვალისწინებულ შეღავათს -განერიდო საპატიმრო სასჯელს. თავდაპირველად, პროგრამა იყო საპილოტე და მოქმედებდა საქართველოს მხოლოდ ოთხ ქალაქში: თბილისში, რუსთავში, ქუთაისსა და ბათუმში. 2011 წელიდან კი მათ რიგებს შეემატა კიდევ ორი მნიშვნელოვანი ქალაქი: გორი და სამტრედია, ხოლო 2013 წლის აგვისტოდან პროგრამა უკვე მთელი საქართველოს მასშტაბით ხორციელდება.

განრიდებისა და მედიაციის პროგრამა არასრულწლოვნისთვის წარმოადგენს ერთგვარ შანსს, გარკვეული პირობების შესრულების სანაცვლოდ განაგრძოს ცხოვრება ნასამართლების სტატუსის ან/და სასჯელის გარეშე დაიწყოს კანონმორჩილი ცხოვრება, გადადგას ნაბიჯი წარმატებული კარიერისკენ და ხელახლა დაგეგმოს საკუთარი მომავალი.

განრიდების პროცესის პირობაა მსჯავრდებული აკმაყოფილებდეს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ანუ აუცილებელი პირობაა ის იყოს არასრულ ასაკში და აღიარებდეს საკუთარ დანაშაულს. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება მისი განრიდების პროგრამაში ჩართვა. პროკურატურა ვალდებულია მიმართოს პრობაციის ეროვნულ სააგენტოს. სოციალური მუშაკი აფასებს, როგორც მის გარემოს (სკოლას,მეგობრებს, წრეს,სადაც ის ყოველდღიურად ატარებს დროს) ასევე იმ რისკს და საჭიროებას, რამაც უბიძგა დანაშაულისკენ. არასრულწლოვანის განრიიდებით ის აღარ შედის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, მასთან 1 თვიდან 1 წლის ვადით იდება ხელშეკრულება, სადაც მის რეაბილიტაცია- რესოციალიზაციაში ჩართულია ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, ფსიქიატრი, იურისტი და ა.შ. შემდეგი ატაპი არის შერიგების პროცესი, რაზეც , ბუნებრივია, დაზარალებულისგან თანხმობაა საჭირო.

პროგრამა ეფექტური საშუალებაა არა მხოლოდ არასრულწლოვნის მართლშეგნების ხელშეწყობისა და მისი რესოციალიზაციის თვალსაზრისით, არამედ დაზარალებულის დაკმაყოფილების კუთხით. კერძოდ, პროგრამა ორიენტირებულია აღდგეს ხიდჩატეხილობა, რამდენადაც მედიაცია სწორედ აღდგენითი მართლმსაჯულებაა.

განრიდება და მედიაცია მაქსიმალურად ითვალისწინებს დამნაშავისა და დაზარალებულის ინტერესებს, მიმართულია დანაშაულის პრევენციაზე და ზრუნავს საზოგადოების, როგორც მთლიანი ორგანიზმის გაჯანსაღებაზე.

პროგრამა ითვალისწინებს შემდეგ პრინციპებს :

- არასრულწლოვნის ინტერესის გათვალისწინება.
- კონფიდენციალურობა
- ალტერნატიული მექანიზმების გამოყენება
- ნებაყოფლობითობა
- სტიგმატიზაციის დაუშვებლობა საზოგადოებაში

დასაბუთებული ვარაუდის შემთხვევაში, რომ დანაშაული ნამდვილად არასრულწლოვანმა ჩაიდინა, განრიდება-მედიაციის პროგრამის ძალაუფლების ქვეშ პროკურორი უფლებამოსილია არ დაიწყოს/შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოიყენოს ალტერნატიული, ახლად შემუშავებული და უკვე საკმაოდ ეფექტიანი, განრიდებისა და მედიაციის პროგრამა. პროგრამა ეხება ისეთ დანაშაულს, რომელიც ნაკლებად მძიმედ მიიჩნევა ან/და რომლის სასჯელის ვადაც არ აღემატება 10 წლით თავისუფლების აღკვეთას.

ასევე მაშინ, თუ კი :

- არასრულწლოვანი წარსულში არ არის ნასამართლევი;
- არასრულწლოვანი არ ყოფილა წარსულში განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული;
- არასრულწლოვანი აღიარებს საკუთარ დანაშაულს და თანახმაა მედიაციაზე;
- •პროკურორის შინაგანი რწმენით და არასრულწლოვნის ინტერესების გათვალისწინებით, არ არსებობს მისი სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის საჯარო ან/და საზოგადო ინტერესი.[34]

[34]არასრულწლოვანთა განრიდება., დანაშაულის პრევენციის ცენტრის ოფიციალური ვებ. გვერდი www.prevention.gov.ge

არასრულწლოვნის განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პროკურორი დაუკავშირდება პრობაციის ეროვნულ სააგენტოს, მსჯავრდებულს აფორმებს განრიდებულად, პრობაციის ეროვნული სააგენტო კი უზრუნველყოფს არასრულწლოვნის საქმის კონკრეტული სოციალური მუშაკისთვის დაწერას. [35]

სოციალური მუშაკი შეიმუშავებს არასრულწლოვნის ბიო-ფსიქო-სოციალურ შეფასებას, იკვლევს მის გარემოს, რამ მიიყვანა იმ შედეგამდე, რომელიც დადგა და რამ შეიძლება უბიძგოს მომავალში დანაშაულისკენ. დასკვნის საფუძველზე პროკურორი სოციალურ მუშაკთან ,ხოლო მედიაციის შემთხვევაში - მედიატორთან ერთად, ადგენს ხელშეკრულების პირობებს. პროგრამაში მედიატორი არის უშუალდ პიროვნება, რომელიც შუამდგომლობს დაზარალებულსა და დამზარალებელს შორის. ის შეიძლება იყოს ნებისმიერი პროფესიის მთავარია მას ჰქონეს სანდოობა ბენეფიციართან, კომუნიკაციის უნარი, რათა შეძლოს ორივე მხარესთან მოლაპარაკების წარმოება. პირობების შედგენისას პროკურორი, სოც.მუშაკი, ფსიქოლოგი და მედიატორი ითვალისწინებენ დაზარალებულის ინტერესს და მოქმედებენ არასრულწლოვნისვის საუკეთესო შედეგისა და მიზნისთვის. ეს შეიძლება იყოს ბრალდებულის მხრიდან დაზარალებულისთვის ზიანის ანაზღაურება ან/და ბოდიშის მოხდა, რომელიც ,ხშირ შემთხვევაში, გადამწყვეტ როლს თამაშობს.

მედიატორი საქმეში აუცილებლად არის ნეიტრალური, რაციონალური და ნაკლებად პათეტიური. მიუკერძოებლობა ის პირობაა, რომელიც ორივე მხარეს თანაბარ ნდობას უჩენს მის მიმართ. მედიატორის მიზანია დაზარალებულსა და დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვანს შორის მოლაპარაკების წარმოება, რამდენადაც შესახლებელია ჩადენილის გამოსწორება, შერიგება და ზიანის ანაზღაურების ფორმაზე შეთანხმება, თუ კი ეს ორივე მხარეს უნდა. მედიატორი როგორც დაზარალებულს ისე არასრულწლოვანს აწვდის დეტალურ ინფრომაციას მედიაციის პროცესის შესახებ და უხსნის მათ მედიაციის მნიშვნელოვნებას ორივე მხარის მომავლისთვის. აღსანიშნავია ისიც, რომ დანაშაულის პრევენციის ცენთტრს აქვს თვენახევრიანი კურსი, რომლის გავლაც

[35]არასრულწლოვანთა განრიდება., დანაშაულის პრევენციის ცენტრის ოფიციალური ვებ. გვერდი www.prevention.gov.ge

სავალდებულოა, რათა მედიატორმა დამოუკიდებლად შეძლოს მედიაციის პროცესის მართვა.

როდესაც მედიაცია წარმატებით ხორციელდება ორივე მხარესთან დამოუკიდებლად, შემდეგ დგება კულმინაციური და უმნიშვნელოვანესი მომენტი რა დროსაც დაზარალებული და არასრულწლოვანი პირადად ხვდებიან ერთმანეთს. ხშირ შემთხვევაში ეს არის ძალიან ემოციური მომენტი ორივე მხარისთვის, თუმცა ზოგჯერ პატიება და ბოდიში აუცილებელია იმისთვის, რომ ცხოვრების გაგრძელება შეძლო. არასრულწლოვანს რეციდივის თავიდან აცილების მიზნით სხვადასხვა გზებით დაეხმარებიან სახელმწიფო და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები.

იმ შემთხვევაში, თუ საქმეს არ ჰყავს დაზარალებული, ან/და დაზარალებული წინააღმდეგია მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე, აღნიშნული გარემოება არ აბრკოლებს განრიდების პროცესს და ამ შემთხვევაში დახმარება მხოლოდ არასრულწლოვან მსჯავრდებულს ეწევა. დაზარალებულსაც და დამზარალებელსაც უფლება აქვთ ნებისმიერ დროს შეწყვიტონ მედიაციის პროცესი. ეს პროგრამა აფსოლუტურად ითვალისწინებს მათ ინტერესებს. თუ კი დაზარალებულისთვის დამატებითი ტკივილის მომტანია და დამამძიმებელი მედიაციის პროცესი, მაშინ მას არ ეკისრება არავითარი თმენითი ვალდებულება და უმჯობესია შეწყდეს პროცედურა, რადგან მედიაციის მიზანი ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებაა.

მათი შეხვედრა მედიაციისთვის მნიშვნელივანია, რადგან, როდესაც დამნაშავე ხედავს დაზარალებულს იაზრებს, რა ტკივილი მიაყენა მას. ემპათიასთან ერთად, ის იწყებს ფიქრს იმაზე, თუ რა შედეგი შეიძლება მოიტანოს საკუთარმა ქმედებამ. განრიდების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, არასრულწლოვნის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებას მისი სოციალური მუშაკი აკონტროლებს. არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ არასრულწლოვანმა არ გამოიყენოს მისთვის მიცემული შანსი და დაარღვიოს ხელშეკრულების პირობები. ამ შემთხვევაში, სოციალური მუშაკი ვალდებულია არასრულწლოვნის საქმე კვლავ პროკურორს დაუბრუნოს. პროკურორი კი უფლებამოსილია ხელახლა დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა ბრალდებულის მიმართ. მედიაცია არ არის სასჯელისგან თავის დაძვრენა ეს არის შანსი, რომელიც შეცდომის გამოსწორებას

გთავაზობს. ასეთი შესაძლებლობის არსებობამ გვარიანად უნდა დააფიქროს არასრულწლოვანი მსჯავრდებული და მის მიერ ნაკისრი ვალდებულებები პირნათლად აღასრულოს.

რაც შეეხება რეფორმის ეფექტიანობის ფონზე რეციდივის სტატისტიკას , 2010- 2018 წლის მონაცემებით 3632 ბრალდებული არის განრიდებული, მათგან არასრულწლოვამია 2400. ხოლო 2400-დან განმეორებითი დანაშაული არის 9% .

შესაბამისად, წარმატებული მედიაცია ამცირებს დაზარალებულსა და არასრულწლოვანს შორის კონფლიქტების რაოდენობას და ზრდის, კმაყოფილ დაზარალებულთა რიცხვს.[36] ეს საკმაოდ დიდი წინსვლაა და ხაზს უსვამს რეფორმის ეფექტიანობას და იმას, რომ კოდექსი მუდშაობს.

სოც. მუშაკის შეფასება

მჯავრდებულ არასრულწლოვანთან, რომელიც განრიდებულია სასჯელაღსრულების დაწესებულებას/საპატიმრო სასჯელს, სოც. მუშაკი სოციალური ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად, სამი მიმართულებით მუშაობს:

- პრევენცია
- რეაბილიტაცია
- მედიაცია

იმისათვის, რომ ამ მიმართიულებებით ეფექტიანად იმუშავოს სპეციალურმა მუშაკმა, უპირველესად,საჭიროა საპატიმროსგანსარიდებლის სუსტი და ძლიერი მხარეების იდე ნტიფიცირება, მისი ინტერესების დადგენა, მისი ფსიქოლოგიური და სოციალური პორტრეტის შექმნა და მისი მოსმენა.

მისი ზოგადი პორტრეტის შექმნა,რაც გულისხმობს არასრულწლოვნის კვლევას სხვადასხვა ჭრილში.

ადამიანის ჩამოყალიბებასა და მის შემდგომ განვითარებას მნიშვნელოვნად განაპრობებ

[36] არასრულწლოვანთა განრდიება., განრიდების პროგრამის ოფიციალური ვებ. გვერდი www.ganrideba.ge

ს

ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორები, რომლებიც გამუდმებულ კავშირში იმყოფებიან ერთმანეთთან. მისი სოციუმი მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მის პიროვნებას, ქმედებას, მიდრეკილებებს, ბიძგს, თუ ინსტიქტს. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია

ფსიქოლოგიური ფაქტორიც, ინტელექტი, ტემპერამენტი, თვითაღქმა და ა.შ. რა თქმა უნდა განათლება, თვითშეგნება მნიშვნელოვნად ამცირებს კრიმინალს საზოგადოებაში. აუცილებელია, რომ ადამიანი საზოგადოების ჯანსაღ ნაწილად გრძნობდეს თავს, მიღებულად აღიარებულად. თვითრეალიზაცია იმ სამ აუცილებელ ინსტიქტს შორის დგას, რომლებიცაა ჭამა და ლტოლვა. იყოს მიღებული და აღიარებული ადამიანის თვითმიდრეკილებაა. თვითშეგნება, განათლება, საზოგადოებისგან მიმღებლობა იცავს, როგორც მათ, განმეორებითი დანაშაულისგან, ასევე ჩვენც, რომლებიც ამ საზოგადოების ნაწილნი ვართ. სოციალური ფაქტორები მოიცავს რა თქმა უნდა გულისხმობს ,როგორც ოჯახს, ოჯახს და ოჯახურ ურთიერთობებს, ასევე

თანატოლებს, სოციუმს, ეკონომიკურ სტატუსს, რელიგიას და სხვა.დანაშაულის

პრევენციის ცენტრი ვითვალისწინებთ კვლევის შედეგად მიღებულ პორტრეტს, ვცდილობთ რესოციალიზაცია მოერგოს ინდივიდს და არა იყოს თარგი, რომელშიც ყველა ერთ ფასადად მოიფრება, რათა შემდგომში ის საზოგადოებას სრულფასოვან, ჯანსაღ, არაპარალიზებულ, შემდგან წევრად დაუბრუნდეს.[37]

განრიდებულ არასრულწლოვნებს შეუძლიათ ისარგებლონ შემდეგი სერვისებით :

- მედიაციაში ჩართულ განრიდებულებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობებში
- მონაწილეობა მიიღონ საინტერესო ტრენინგებში
- კულტურულ საგანმანათლებლო ინიციატივებში
- სხვადასხვა ფორუმებში.
- სემინარებში.
- საჯარო ლექციებში.

[37] სოც.მუშაკის შეფასება., განრიდების პროგრამის ოფიციალური ვებ. გვერდი www.ganrideba.ge

- ჩაერთონ “მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის” ბაზაზე არსებულ საგანმანათლებლო წრეებში.
- დაეუფლონ მათთვის სასურველ მუსიკალურ ინსტრუმენტს.
- გაიარონ ქართული ენის შემსწავლელი კურსები.
- იარონ მათთვის სასურველ სპორტის წრეზეებზე, ესტაფეტებზე.
- მათ ასევე შეეძლებათ ჩაერთონ „სახალისო ფეხბურთის ღია სკოლების“ პროგრამაში და მონაწილეობა მიიღონ ჩემპიონატებში.

მათთვის ასევე შესაძლებელი იქნება:

- გაიარონ, როგორც ინდივიდუალური ფსიქოლოგიური კონსულტაცია, ასევე ჯგუფური თერაპირები ან/და ოჯახური ფსიქოლოგიური კონსულტაციები.
- გაიარონ ფსიქოლოგთან კონსულტაციები ბრაზის, აგრესიის მართვისა და თვითკონტროლის შესახებ.
- საკუთარი სურვილის მიხედვით იმონაწილევონ კამპანიებში — „ჯანსაღი ცხოვრების წესი” „ცხოვრებისეული ფასეულობები“,” რელიგიური დისკუსიები” “ახალგაზდული ინიციატივები” “გამწვანება და ბუნების დაცვა” “წიგნიერების ამაღლება” „აზარტული თამაშებისადმი მიდრეკილებების დაძლევა“, “ ნარკოდამოკიდებულებისგან გათავისუფლება” „ სხვადასხვა სოციალური უნარები“ და ა.შ

მათი პირადი და პროფესიული განვითარებისათვის შესაძლებლობა მიეცემათ :

დაეუფლონ ნებისმიერ უცხო ენას , იარონ შემსწავლელ კურსებზე
კოპიუტერულ კურსებზე
პროფესიულ საგანმანათლებლო კოლეჯში
მართვის მოწმობის აღების კურსებზე
დაეუფლონ ხის დამუშავების ტექნიკას [38]

[38] სერვისები., განრიდების პროგრამის ოფიციალური ვებ. გვერდი www.ganrideba.ge

მედიაცია

მედიაცია, როგორც სახელმწიფოს შეღავათი-განერიდო საპატიმრო სასჯელს, ასევე არის აღდგენითი მართლმსაჯულება. ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო რეფორმა დანაშაულის პრევენციის ცენტრისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ბაზაზე. სწორედ საუკეთესო შედეგებზე დაყრდნობის საფუძველზე ცენტრი მუშაობს მედიაციის მეტად დავეწასა და საზოგადოებაში დანერგვაზე.

2010 წლის ნოემბრიდან დაიწყო არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამა, რომელიც განხორციელდა დანაშაულის პრევენციის ცენტრში. იმისათვის, რომ აღდგენითი მართლმსაჯულება წარმატებით განხორციელდეს კანონთან კონფლიქტში მყოფ მოზარდსა და დაზარალებულთან მუშაობენ მედიატორები, რომლებიც დანაშაულის პრევენციის ცენტრში დასაქმებული პირები არიან. პროგრამის ანალიზის შედეგებმა აჩვენა, რომ მედიაციის გამოყენებით განხორციელებულ განრიდების შემთხვევათა უმეტესობა წარმატებით დასრულდა და განმეორებით ჩადენილი დანაშაულის რიცხვმა იკლო. პროგრამის წარმატებულობამ განაპირობა დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ მედიაციის მიმართულებით ახალი პროგრამების დანერგვა. 2014 წელს დანაშაულის პრევენციის ცენტრის ფარგლებში მედიაციის სახლი დაფუძნდა, რომლის მიზანსაც მედიაციის სფეროს განვითარების სტრატეგიის წარმართვისა და ეფექტიანი მართვა წარმოადგენდა. იმისასთვის, რომ ცენტრის მიერ დასახული მიზნები მიღწეულ იქნეს, იგი სხვადასხვა მიმართულებით მუშაობს. ეს მიმართულებები შემდეგია:

•მედიატორთა პროფესიული სტანდარტის დახვეწა და მისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავება;

•მედიაციის სასწავლო მოდულების განსაზღვრა;

•საქართველოს ფარგლებში მედიატორული ინსტრუმენტების გავრცელება;

•სისხლის სამართლის მედიაციის მიდგომების კორექტირება და პრაქტიკაში გამოყენება;

•სისხლის სამართლის მედიაციის გამოყენების მასთტაბების გაფართოება;

•სამუშაო სივრცეების შექმნა თბილისში მიმდინარე მედიატორული საქმიანობის აღრიცხვისათვის;

სამომავლო პერსპექტივებში მედიაციის სახლი ეცდება აღდგენითი მართლმსაჯულების მიმართულებით **უფრ**ო დიდი მასშტაბები მოიცვას, ამის შედეგად, მედიაცია შეიძლება გამოიყენონ არა მხოლოდ განრიდების შემთხვევებში, არამედ განაჩენთან ერთადადც. მისი გამოყენება შესაძლებელია პატიმრობის შემდგომაც, როგორც დამნაშავის რესოციალიზაციისთვის, ასევე დაზარალებულის რეაბილიტაციისთვის.

მედიაციის მიზანს წარმოადგენს მოზარდისა და დაზარალებულის მორიგება, ჩადენილი დანაშაულის შედეგად ასრსებული ემოციური და მატერიალური შედეგების აღდგენა. მედიაციაში ცენტრალური ადგილი უკავია მედიატორს- შესაბამისად გადამზადებულ პროფესიონლას. რომელიც წარმართავს მთელ რიგ მნიშვნელოვან პროცესებს.

აღნიშნული პროცესი სამ ძირითად საფეხურს მოიცავს: მოსამზადებელი, წინასაკონფერენციო და მედიაციის კონფერენცია. მოსამზადებელი ეტაპის მიხედვით მედიატორის ფუნქციაა სპეციალური ინსტრუმენტების გამოყენებით ხელი შეუწყოს პროცესის დასაწყისს. იგი შეხვდება დაზარალებულს და აცნობებს მას პროგრამის არსებობის შესახებ, განუმარტავს რას წარმოადგენს პროგრამის არსი, მიზნები, პრინციპები და აქცენტს აკეთებს პროგრამის დადებით მხარეებზე. რაც შეეხება, მეორე ეტპას- წინასაკონფერენციო ეტაპის მიზანია მედიატორი ცალ-ცალკე დაუკავშირდეს არასრულწლოვანსა და დაზარალებულს, ესაუბროს მათ მედიაციის არსზე, მიზნებსა და წესებზე, მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია ხელშეკრულების სავარაუდო პირობებზე და ათანხმებს ამ პირობებს მონაწილე მხზრეებთან. ამ ეტაპის მიხედვით მის მთავარ ამოცანად უნდა იქცეს ის, თუ როგორ უზრუნველყოს მხარეთა ნებაყოფლობითი და ინფორმირებული მონაწილეობა მედიაციის პროცესში და მიაღწიოს მხარეთა შორის შეთანხმებას მედიაციის ხელშეკრულების სავარაუდო პირობებთან დაკავშირებით. დაზარალებულის ჩართვის საშუალებით მედიაციაში ხდება მისი აქტიური მონაწილეობას ხელშეკრულების პირობების უზრუნველყოფა მედიატორებისა და მედიაციით დაინტერესებული მხარეებისთის, იგი ასევე მოიცავს ზიანის ანაზღაურების ფორმის განსაზღვრას. რაც შეეხება კონფერენციის მსვლელობისა, დაზარალებულს აქვს შესაძლებლობა გაესაუბროს არასრულწლოვანს, დაუსვას

კითხვები და გამოხატოს საკუთარი აზრი და შეხედულება ჩადენილი ქმედების მიმართ. დაზარალებულისთვის უნდა განიმარტოს, რომ მისი უარყოფითი პასუხი მედიაციაში მონაწილეობაზე არ შეაფერხებს განრიდების პროცესს. აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ მედიატორმა მხარეებს თავდაპირველადვე ამცნოს მედიაციაში მონაწილეობის ნებაყოფლობითი ხასიათის შესახებ. დასკვნით ეტაპზე მედიატორი წარმართავს კონფერენციას (ე.წ. მედიაციის კონფერენცია), ამ დროს დაზარალებული და არასრულწლოვანი პირისპირ ხვდებიან ერთმანეთს. ამ ეტაპის მიზანია არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულისა და დამდგარი შედეგების გაცნობიერება. კონფერენციაზე ორივე მხარეს აქვს საშუალება, რომ გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება ჩადენილი ქმედებისა და შედეგების შესახებ. ამ ეტაპზე მედიატორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კონფერენციის წარმართვის პროცესში (ფასილიტაციაში).

როგორც ზოგადად მედიაციის პროცესის მსვლელობისას, ასევე კონფერენციის დროს მედიატორი ვალდებულია იყოს მაქსიმალურად
მიუკერძოებელი, ობიექტური და დამოუკიდებელი, არ შეიძლება რომელიმე მხარეს მიანიჭოს რაიმე სახის უპირატესობა. ამასთან, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მედაიტორის უნარი, შექმნას მხარეთათვის უსაფრთხო გარემო, გაამხნევოს ისინი და ხელი შეუწყოს მათ საკუთრი პოზიციის გამოხატვასა და პირდაპირი დიალოგის წარმართვაში. მედიაციის წარმატებული დასასრულია მედიაციის განრიდების ხელშეკრულება, სადაც აისახება მიყენებული ზიანის ანაზრაურების შეთანხმებული გეგმა და მახრეების სხვა უფლება-მოსილებები.[39]

მედიაციის სფეროში უკეთესად გასარკვევად ჩატარდა ინტერვიუ დანაშაულის პრევეცნიის ცენტრის მედიატორთან. მასთან საუბრისას გამოიკვეთა რამდენიმე საინტერესო რამ. მაგალთად, იმისათვის რომ მედიატორი გახდე არ არის აუცილებელი იყო კონკრეტული პროფესიის, გქონდეს განათლება სოციოლოგიაში, სოციალურ მუშაობასა თუ ფსიქოლოგიაში, თუმცა თავდაპირველად აღნიშნული პროგრამაში ჩაფიქრებული იყო, რომ ზემოთთქმული პროფესიის თანამშრომლებით დაეტვირთათ

[39] მედიაცია., განრიდების პროგრამის ვებ. გვერდი www.ganrideba.ge

უწყება. თუმცა, რესპონდენტის თქმით 2016 წელს გამონაკლისის სახით იურისტებიც აიყვანეს. მისი თქმით ყველაზე მნიშნველოვანია გამოცდილება, შინაგანი დამოკიდებულება არასრულწლოვანთა მიმართ და აღდგენითი მართლმსაჯლების მიმართ დამოკიდებულება. მედიატორის პოზიციაზე დანიშვნამდე კანდიდატს უწევს რამდენიმე საფეხურის გავლა, რაც გულისხმობს გამოცდებს. ,,გასაუბრების ეტაპის შემდეგ მედიატორი გადის მაგისტრატურის კურსს, სპეციალიზაციის კურსს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. ის მოიცავს ფსიქოლოგიას, ასევე სამართლებირვ ნაწილს, შემდეგ აბარებ გამოცდებს და თუ გამოცდები წარმატებით ჩააბარე შემდეგ უკვე მიებარები მედიატორს. პრაქტიკაში სწავლობ და სამი წარმატებული მედიაციის შემდეგ უკვე იწყებ დამოუკიდებლად მუშაობას.''[40] მედიატორის აზრით განრიდებისა და მედიაციის პროგრამა წარმატებით ართმევს თავს არსებულ გამოწვევებს. მისი თქმით, აღნიშნული პგორამა უზრუნველყოფს რეციდივის შემცირებას არასრულწლოვნებში. არასრულწლოვანთან საუბრით და მასთან მუშაობით მუქარის გარეშე იგი თავად იაზრებს მრავალ საკთხს და საზოგადოებას აღარ დააზარალებს, ვინაიდან იგრძნობს რომ მისი ნაწილია. და ბოლოს, კითხვაზე თუ რა ნაკლი აქვს პროგრამას, მედიტორის პასუხი იყო, რომ საჭიროა მეთი თანამშრომლები, რაც უახლოეს მომავალში ,მისი აზრით, უზრუნველყოფილი იქნება და ,ასევე, მეტი სერვისი.

2.5 საგრანტო პროგრამები

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ 2012 წლის იანვრიდან დაიწყო არასამთავრობო სექტორისთვის გრანტების გაცემა. თავისი კომპეტენციის ფარგლებში დანაშაულის პრევენციის ცენტრი შექმნის საგრანტო პროგრამას, რომელსაც ზედამხედველობას უწევს საქართველოს იუსტიციის მინისტრი. ამ პროგრამის მიზანია იუსტიციის სამინისტროს სისტემის კომპეტენციის სფეროში აქტუალური და სოციუმისთვის რელევანტური საკითხების წინ წამოწევა და მათი მოგვარება. პროგრამის ბიუჯეტი განსაზღვრა ხდება მიმართულებების გეოგრაფიული გავრცელების, ბენეფიციარების რაოდენობისა და აქტუალურობის შესაბამისად. საგრანტო კონკურსში

[40] ინტერვიუ დანაშაულის პრევენციის ცენტრის მედიატორ, თინათინ ზედგინიძესთან.

მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოში რეგისტრირებულ არასამეწარმეო იურიდიულ პირს, რომელიც დააკმაყოფილებს კონკრეტული საგრანტო პროგრამის კრიტერიუმებს. საგრანტო განაცხადებს განიხილავს და გამარჯვებულებს გამოავლენს საქართველოს იუსტიციის მინისტრის ინიციატივით დაარსებილი საგრანტო საბჭო, რომელიც შედგება შესაბამის თემაზე მომუშავე სამთავრობო და კერძო სექტორში დასაქმებული ექსპერტებისგან. დაფინანსებულ პროგრამებზე ზედამხედველობას საგრანტო პროექტების მიმართულებით, კურირებს დანაშაულის პრევენციის ცენტრი. იუსტიციის სამინისტროს მიერ გრანტის გაცემა ხდება თავისუფალი კონკურენციის ფარგლებში. მნიშვნელოვანია, რომ დაცული იყოს ისეთი პრინციპები,როგორებიცაა ეფექტურობა, გამჭირვალეობა და ანგარიშვალდებულება.

ინტერვიუ ჩაუტარდა საგრანტო პროგრამების მენეჯერს, ლაშა ბაბლიძეს. მან დეტალურად ისაუბრა საგრანტო პროგრამების არსზე, მათი დაგეგმვის და განხორციელების მექანიზმებზე, მის შედეგებზე, სტატისტიკასა და სხვა მრავალ დეტალზე, რაც აღნიშნული პროგრამისთვის არის რელევანტური. მისი თქმით, იუსტიციის სამინისტრო ყოველწლიურად საგრანტო პროგრამებისთვის დაახლოებით სამისი ათას ლარს გამოყოფს. ,,იუსტიციის სამინისტროს ყოველ წელს აქვს სხვადასხვა პრიორიტეტები. მაგალითად, წელს პრიორიტეტულია ტრეფიკინგთან ბრძოლა, ნარკოტიკების ავად მოხმარების წინააღმდეგ ბრძოლა და დანაშაულის პრევენცია. შესაბამისად ამ პრიორიტეტების მიხედვით წლიდან წლამდე იგეგმება შესაბამისი პროგრამები ამ მიმართულებით.''[41] რესპონდენტის თქმით, საგრანტო პროგრამის ზოგადი მიზანი არის დანაშაულის პრევენცია. დანაშაულის პრევენციის თითოეულ დონეზე პროგრამა რელევანტურია შესაბამისი მიმართულებით. კითხვაზე, თუ როგორია 2012 წლიდან დღემდე სტატისტიკა საგრანტო პროგრამების მიმართულებით, რესპონდენტმა წარმოადგინა შემდეგი სახის ინფორმაცია: მისი თქმით, 2012 წლიდან დღემდე გამოცხადებულია 38 საგრანტო პროგრამა. რაც შეეხება ბიუჯეტს, სრული თანხა ერთ მილიონ ასი ათას ლარს შეადგენს. საინტერესოა, რომ ამ 38 პროექტის უმრავლესობა არის განხორციელებული სრულიად საქართველოს მასშტაბით, რომელიც ფარავს ყველა

[41] ინტერვიუ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგრანტო პროგრამების მენეჯერთან

რეგიონს. თუმცა, რესპონდენტის თქმით, არის კონკრეტული პროგრამები, რომლებიც ფარავს ქვეყნის ან აღმოსავლეთს ან დასავლეთს. ისეთი პროექტი, რომელიც კონკრეტულად თბილისში განხორციელდა არის ერთი ან ორი. რესპონდენტი მიიჩნევს, რომ საგრანტო პროგრამებით, სახელმწიფო აძლიერებს კერძო სექტორს. ,,კონკრეტული მიმართულებებით, როდესაც სახლემწიფო თვლის საჭიროდ, რომ ამ მიმართულებებით არასამთავრობო სექტორიც უნდა გაძლიერდეს ამ მიმართულებით საგნრატო პროგრამები არის მათი მხარდაჭერა. ,,ანუ, როდესაც მე არასამთავრობო ორგანიზაციას ვაძლევ ფულს, უხეშად რომ ვთქვათ, ვაფინანსებ კონკრეტულ პროექტს, გარდა იმისა, რომ კონკრეტულად პროექტს ხმარდება რაღაცა თანხები, ასევე ხმარდება იმ ორგანიზაციების გაძლიერებასაც, რომლებიც იქ მუშაობენ.''[42] წარმატების ნაწილზე დასმულ შეკითხვაზე , რესპონდენტმა ყოფილი პატიმრების ბიზნეს ინიციატივის მხარდაჭერაზე ისაუბრა. მისი თქმით, 2012 წლიდან დღემდე დაფინანსდა 144 ბენეფიციარი. აქედან, 85% ყველა ბენეფიციარისა დღემდე აგრძელებს დაფინანსებულ ბიზნესში საქმიანობას იგივე მიმართულებით.

[42] ინტერვიუ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგრანტო პროგრამების მენეჯერთან

თავი III ბავშვთა დაცვის მიმართვის სისტემა (რეფერალი)

3.1 ბავშვთა დაცვის მიმართვის სისტემის არსი

რეფერალური სისტემის ექსპლუატირება სალმეწიფო ინიციატივაა, რომელსაც მხარს კერძო სექტორიც უჭერს. სისტემის არსი მდოგმარეობს შესაბამისი პროცედურების დანერგვაში, რის შედეგადაც შესაძლებელი იქნება ძალადობის ნებისმიერი ფორმის თავიდან აცილება, იქნება ეს წინასწარგანსაზღვრული თუ უნებლიე. 2007 წელს ფედერაცია,,გადავარჩინოთ ბავშების'' ინიციატვით, ასევე შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს თანადგომით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, იმისთვის, რათა შექმნილიყო პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ბავშვთა დაცვას და სპეციაური კავშირებისა თუ მიმართებების არსებობას კონკრეტული საფრთხის არსებობის შემთხვევაში. შემუშავებული დოკუმენტის მიზანია მინიმუმამდე დავიდეს ბავშვთა და მოზრდთა უსაფრთოების დარღვევის რისკი. ამიტომ დოკუმენტი წარმოადგენს კოორდინირებულ და სავალდებულო მიმართვეიანობის პროცედურათა სისტემას. დოკუმენტის მიხედვით პროფესიონალებისთვის, რომლებიც დაადგენენ ბავშვის დავის აუცილებლობას, გამარტივდება ჩარევის მექანიზმი გარკვეული საფრთხის იდენტიფიცირების შემთხვევაში. რეფერალური სისტემის დაარსებას საქართველოსთვის მნიშვნელოვანი შედეგების მოტანა შეუძლია ბავშვთა უფლებების დაცვის პროცესში. გარდა ამისა, შედეგად იზრდება კოოპერირების ხარისხი სხვადასხვა უწყებებეს შორის, იქნება ეს სოციალური სააგენტო, სკოლა, საავადმყოფო, ადგილობირივი მუნიციპალიტეტები თუ სხვა. ჯერჯერობით რეფერალური სისტემა მხოოდ რვა ქალაქში მოქმედებს: თბილისში, გორში, ქუთაისში, ბათუმშ, მარნეულში, ბოლნისში, თელავსა და რუსთავში.

სისტემის შემუშავებაზე მუშაობდნენ შემდეგი სამთავრობო უწყებები და არასამთავრობო ორგანიზაციებ:განათელბის სამინისტრო;შინაგან საქმეთა სამინისტრო;თვითმართველობის ორგანოები, ჯანმრთელობის,შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, Save the children, Every Child, Phmdf, World vision. [43] აღსანიშნია,

[43] შინაგან საქმეთა სამინისტრო., ბავშვთა დაცვის მიმართვის სისტემა., www.police.ge

რომ რეფერირების პროცედურა იწყება მაშინ, როცა გადამისამართების სისტემაში ჩართული ყველა ორგანო ეჭვის გაჩენის შემთხვევაში იღებს ვალდებულებას ადგილე განიხილოს მომხდარი შემთხვევა და ეწვის არსებობის დროს სასწრაფოდ უზრუნველყოს სოციალური სააგენტოსა და პოლიციის ინფორმირება.

სისტემა მოიცავს:

- ძალადობის მსხვერპლი მოზარდის იდენტიფიცირებას;
- ბავშვზე მდგომარეობის შეფასებას; მოზარდის მდგომარეობის მონიტორიგნსა და შეფასებას
  ბავშვზე განხორციელებული ძალადობის შესებ ინფრომაციის არსებობისთანავე პოლიციისა და შესაბამისი ძალოვანი ორგანოების გაფრთხილებას;
- ბავშვის უსაფრთხოების უზრნუველყოფა;
- შემთხვევის შესწავლა და ზედმახედველობა.[44]

3.2 14 წლამდე ასაკის ბავშვთა რეფერირების ცენტრი

საქართველოში 14 წლამდე ასაკის ბავშვთა მიერ ჩადენილ დანაშაულებზე რეაგირების მექანიზმების არარსებობამ დღის წესრიგში დააყენა რეფერირების ცენტრის შექმნა. როგორც ვიცით, მცირე მთავრობის პროგრამის ფარგლებში, იუსტიციის სამინისტროს შეუერთდა პრობაციის სააგენტო, ეს უკანასკნელი გამოირჩეოდა რესურსების ნაკლებობით, რადგან მის კომპეტენციაში მხოლოდ არასაპატიმრო სასჯელების აღსრულება მოიაზრებოდა. სოციალური სამუშაოების გასაუმჯობესებლად მას დაემატა 60 სოციალურ მუშაკთა შტატი. ამ უწყებათშორისი შეხვედრები უკვე გაიამართა და გადაწყდა რომ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს"

ფარგლებში შეიქმნება 14 წლამდე ასაკის ბავშვთა რეფერირების ცენტრი, რომელიც ფუნქციურად განახლებულად და გამართულად იფუნქციონირებს. ამ საკითხზე მუშაობა იუსტიციის სამინისტრომ 2018 წელს დაიწყო მუშაობა ბავშვთა რეფერირების კონცეფციაზე, მომზადდა კვლევა სახელმწიფო პრაქტიკის შესახებ

[44] სოციალური მომსახურების სააგენტო., ბავშვთა დაცვა ძალადობისგან (07.02.2019წ.)., www.ssa.gov.ge

(„სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ პირთა მიერ სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევის პრევენცია"), სხვადასხვა უწყებებთან თანამშრომლობის ფარგლებში, მათ შორის ევროკავშირის სამართლის პროექტთან და UNICEF- თან, განხორციელდა პრობლემის ანალიზი და შეიქმნა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი. რეფერირების ცენტრის მიზანი რთული ქცევის მქონე ბავშვების რეაბილიტაცია, სოციალიზაცია და დანაშაულის პრევენცია იქნება. ის დამხმარე უწყებებთან ერთად (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,შრომის,ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; მათი მმართველობის სფეროში მოქმედი იურიდიული პირები;საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს პროკურატურა და კერძო სამართლის იურიდიული პირები;საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო)უზრუნველყოფს რეფერირების პროცესის კოორდინაციას: ბავშვთა იდენტიფიკაციას, მათ გადამისამართებას, ინდივიდუალური დაკვირვების შემდეგ მათთვის საჭირო პროგრამაში/სერვისში ჩართვა, მათი შემდგომი მონიტორინგი, პროგრამის ეფექტურობის შეფასება და ხარვეზების აღმოფხვრა. რეფერირების მაკოორდინებელი ორგანო არასრულწლოვნებს ჩართავს და გადაამისამართებს ცენტრალური და ადგილობრივი, ასევე კერძო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ სპორტულ და სარეაბილიტაციო პროგრამებში. ცენტრის გადაწყვეტილება სავალდებულო იქნება შესასრულებლად მშობელთათვის და პასუხისმგებლობა დაეკისრებათ ადმნისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე.

შემუშავებული კონცეფციის თანახმად, თითოეული მონაწილე ორგანოს როლი შემდეგნაირად განისაზღვრა: არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრში ინფორმაცია შემოვა საჯარო თუ კერძო სკოლებიდან დელიქვენტური ქცევის მოსაწვლის შესახებ. ხოლო ჯანდაცვის სამინისტრო ცენტრს მიუსაფარი ბავშების შესახებ მიაწვდის ინფორმაციას. დამატებით, ყველა უწყება , თუ ორგანიზაცია, რომელიც არასრულწლოვნებზე მუშაობს ვალდებულია ცენტრს მიაწოდოს ინფორმაცია. მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტრო, პროკურატურა, მინიციპალიტეტები და ა.შ. აღნიშნული უწყებები გადაამისამართებენ დელიქვენტური ქცევის ბავშვების რეფერირების ცენტრში.

- ცენტრში დასაქმებული პროფესიონალები ინდივიდუალურ შეფასებას უტარებენ მოზარდებსა, მათ კანონიერ წარმომადგენლებს, მასწავლებლებს, სკოლის დირექციას და სოციალურ მუშაკთან გასაუბრების შედეგად დადგინდება თუ რა მიზეზი აქვს არასრულწლოვნის დელიქვენტურ ქცევას და განისაზღვრეა მისი აღმოფხვრის მეთოდები. რეფერირების ცენტრის პროგრამაში ჩართვა არასრულწლოვნისთვის სავალდებული იქნება.
- ცენტრის ფარგლებში პერმანენტულად ხორციელდება რეაბილიტაციის პროგრამში ჩართული მოზარდების პროცესის მონიტორინგი და ეფექტურობოსი შეფასება. ცვლილებებისა და კორეტირების შეტანა ცენტრის მხრიდან შესაძლებელია გარვკეული ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში. ამ შემთხვევაში პოგრამა ან სერვისი, სადაც არასრულწლოვანია ჩართული უნდა იყოს ჩანაცვლებული სხვა პროგრამით ან სერვისით;
- ცენტრში წარიმართება არასრულწლოვნათა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პგორამა, შეიქმენბა დელიქვენტური ქცევის მქონე 14 წლამდე ბავშვთა ერთიანი ბაზა, შემუშავდება დროული რეაგირების მექანიზმები, ასევე მოხდება თითოეული მოზარდის ინდივიდუალური შეფასება და შესაბამისად მოხდება მათი გადანაწილება კონკრეტულ პროგრამებსა და სერვისებში."[45]

3.2 სოციალური მომსახურების სააგენტოს ზოგადი ფუნქციები

სოციალური მომსახურების სააგენტო მრავალმილიონიანი ხარჯების განმკარგავი ორგანოა, რომელიც უზრუნველყოფს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ პროგრამების უზრუნველყოფას: ჯანმრთელობის დაზღვევა, სოციალური დახმარება, სახელმწიფო პენსია, შეზღუდული შესაძლებლობების მქონდე პირთა უზრუნველყოფა, მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მეურვეობა-მზრუნველობა და ა.შ. სააგენტოში 2000 ზე მეტი ადამიანია დასაქმებული სხვადასხვა ტერიტორიულ სამსახურში, რომელიც 68 მისამართზეა განთავსებული და ყოველთვიურ მომსახურეობას უწევს საქართველოს

[45]ქ. მაჭავარიანი.(10.05.2018წ.), 14 წლამდე კაკნონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებისთვის რეფერირების ცენტრის შექმნა იგეგმება https://netgazeti.ge/news/275483/ ბოლო ნახვა: 25.06.2019

მოსახლეობის თითქმის მესამედს, ხოლო საერთო ჯამში 2,5 მილიონ მოქალაქეს (დაახლოვებით მთელი მოსახლეობის 60 პროცენტი).

სააგენტოს მიზანია სოციალურად დაუცველი ფენის მხარდაჭერა, მათთვის გაწეული მომსახურეობის დონის ამაღლება, სერვისების გამარტივება და დახვეწა მეტი ხელმისაწვდომობისთვის. სოციალური მომსახურეობის სააგენტო 25 % მეტს უწევს უფასო სამედიცინო დაზღვევით დახმარებას, რომელიც უზრუნველყოფს სრულყოფილ სამედიცინო მომსახურეობას. ასევე პრიორიტეტს წარმოადგენს ბავშვთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტეგრაცია საზოგადოებაში, ამისთვის კი მათ ანიჭებს პრივილეგიებს, უწევს შეღავათებდა და სხვადასხვა სახის პროგრამებსა და მომსახურეობებს სთავაზობს.

რეკომენდაციები და დასკვნა

დასკვნის სახით შესაძლებელი გახდა იმის თქმა, რომ მიუხედავად მრავალგვარი პროგამებისა და მიდგომებისა, რომლებსაც სახელმწიფო ახორციელებს, არასრულწლოვანთა შორის დანაშაული კვლავ აქტუალურია საქართველოში. შესაბამისად, კვლევის ფარგლებში არსებული ჰიპოთეზა ნაწილობრივ დასტურდება, რადგან უამრავი პოზიტიური ნაბიჯის მიუხედავად, ქვეყანას ჯერ კიდევ აქვს გამოწვევები, რაც საჭიროებს დაუყოვნებლივ მოქმედებს. იკვეთება ძალადობის ციკლური ხასიათი. ასეთი ციკლის დარღვევა მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ თაობებში ამგვარი პრაქტიკის შემცირების ფაქტორად და მსხვერპლ მოზარდებში ქცევითი პრობლემების დასაძლევად მნიშვნელოვან კატალიზატორად გვევლინება. უნისეფის კვლევების შედეგები ცხადყოფს, რომ ძალადობის შეუფერხებლობასა და შესაბამისი კითხვების არარსებობას მოსდევს ძალადობის მიმართ თანდათანობით ტოლერანტული დამოკიდებულების ზრდა. ბავშვთა მიმართ ძალადობის წილი მაღალია; მას აღემატება ძალადობის მიმართ ტოლერანტობის დონე; ის ფაქტი, რომ ძალადობის არსებობის შემთხვევაშიც ადამიანები არჩევენს უმოქმედობას ოჯახის შიდა საქმეში ჩაურევლობის მიზეზით, ძალადობის მიმართ გავრცელებული პრაქტიკისა და შემწყნარებლური დამოკიდებულების ერთობლივი ღრმად გამჯდარი შედეგია. ასე წარმოიქმნება ჯაჭვური რექცია, რაც შემდეგს გულისხმობს: პრობლმების მოუგვარებლობა ხელს შეუშლის ბავშვთა სრული პოტენციალის განვითარებას, რაც მომავალში შეამცირებს რა ქვეყნის ადამიანურ კაპიტალში ამ ბავშვების წვლილს და შეაფერხებს ქვეყნის განვითარებასა და კეთილდღეობას.[46] სამაგიეროდ, პოზიტიური სტატსტიკა არასრულწლოვანთა დანაშაულის რეციდივის მხრივ საუკეთესოს მომასწავებელია. განრიდებულთა რეციდივი ქვეყანაში უდრის 9%, რაც ევროპულ ქვეყნებთანაც კი ძალიან კარგი შედეგია. ზოგადად, მიიჩნევა რომ 30% უკვე წარმატებული ნაბიჯია

[46] ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების ანალიზი და მთავრობისთვის შემუშავებული რეკომენდაციები.,(2013წ.) ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში., https://www.unicef.org/georgia/media/2066/file.

ქვეყანაში ბავშვების მიმართ ძალადობის პრობლემის მოგვარებისათვის, აუცილებელია სახელმწიფომ და დაინტერესებულმა მხარეებმა მათ მიერ არსებული ყველა რესურსი მიმართონ ისეთი დამოკიდებულების შეცვლისკენ, რომელიც 18 წელს მიუღწეველ პირთა მიმართ გარკვეული ხარისხით ძალადობას კანონიერად და სოციალურად მისაღებას თვლის. ძალადობის ნებისმიერი ფორმისგან ბავშვთა დაცვის ეფექტიანი მექანიზმების შემუშავებისთვის სახელმწიფომ არსებული საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზების შესწორება უნდა შეძლოს. კანონი ნათლად უნდა კრძალავდეს ბავშვთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმას. ასეთში იგულისხმება - ფიზიკური დასჯა, როგორც დისციპლინური მეთოდი, იქნება ეს ოჯახურ თუ სხვა გარემოში.

- ბავშვთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმა საკანონმდებლო კანონმდებლობაში უნდა აისახოს, რაც ამ კატეგორიის მიმართ ძალადობის ნებისმიერი ფორმის თანაბრად მიუღებლობას ხაზს გაუსვამს. ყველა შესაბამისი კანონი და ნორმატიული აქტი უნდა განსაზღვრავდეს ბავშვის უგულებელყოფის მნიშვნელობას.
- ოჯახში ფიზიკური ძალადობის (ფიზიკური დასჯა) არკძალვისთვის გარკვეულ ცვლილებებს საჭიროებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
- კანონმდებლობაში უნდა იყოს ასახული ბავშვებთან მომუშავე ყველა პროფესიონალის (განსაკუთრებით ეხებათ ბავშვთა დაცვის რეფერირების სისტემის მთავარ მონაწილეებს) ვალდებულება ინფორმაციის მიწოდება/მიმართვიანობასთან დაკავშირებით; აგრეთვე, უნდა დარეგულირდეს საჯარიმო სანქციებისა და იძულების მექანიზმების საკითხი ძალადობის შემთხვევების არშეტყობინების დროს.
- შესაბამისმა სამინისტროებმა ბავშვთა დაცვის რეფერირების მექანიზმის ყველა მონაწილის საკუთარ ფუნქციასა და სამსახურებრივ მოვალეობაში სათანადოდ გარკვევა უნდა შეძლონ. აღნიშნული ეხება სამუშაოსთან დაკავშირებულ პროცედურებსა და ყველა პროფესიონალისთვის განკუთვნის მითითებებში ინფორმირებას.[47]

ფართო საზოგადოებისთვის ჯერაც გაუგებარია არასრულწლოვანთა დანაშაულის რაობა, განსაკუთრებით - ფსიქოლოგიური ძალადობისა. არსებობს წარმოდგენა იმის

[47] ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების ანალიზი და მთავრობისთვის შემუშავებული რეკომენდაციები.,(2013წ.) ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში., https://www.unicef.org/georgia/media/2066/file გვ. 37.

შესახებ, რომ ოჯახში ძალადობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ასეთი ოჯახის შიდა საქმეში ჩარევას ნიშნავს. უნისეფის კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ საზოგადოება ნაკლებადაა გათვითცნობიერებული ბავშვის მიმართ ძალადობის ფაქტებზე შესაბამისი რეაგირების მექანიზმებში. ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ ძალადობის ფაქტის იდენტიფიკაციის დროს იმის ცოდნა, თუ რა უნდა გაკეთდეს ბავშვის მიმართ, ზრდის შემთხვევის შესხებს ბავშვთა დაცვის შესაბამისი სახელმწიფო სამსახურებისთვის ინფორმაციის მიწოდების ალბათობას.

ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ხარვეზები

მოზარდთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმის განსხილვისას ცხადი გახდა, რომ ამ კუთხით საკანონმდებლო ბაზა დასახვეწია.

- კონსტიტუციაში არ არსებობს ჩანაწერი, რომელშიც საუბარია ბავშვთა და მოზარდთა უფლებებზე.
- უნდა დარეგულირდეს კანონმდებლობა და გამკაცრდეს სანქციები ბავშვთა პორნოგრაფიის მიმართ.
- დღის წესრიგში უნდა დადგეს ბავშვთა უფლებადამცველის დანიშვნის საკითხი და იმ შემთხვევაში თუ პოლიტიკური თანხმობა მიიღწევა, უნდა შედგეს შესაბამისი ნორმატიული აქტი.

პრევენციული პროგრამების ხარისხის განვითარება

ამ თემის ირგვლივ გამოიკვეთა შემდეგი ზომების გატარების აუცილებლობა:

- ბავშვთა დაცვის რეფერირების სისტემისა და პროცედურების შესახებ ეფექტური კამპანიების წარმოება;
- ამ პროცედურებში როლის მატარებელი შემდეგი ორგანოების ფუნქციების გაძლიერება

1) პოლიცია

2) სოციალური მუშაკები

3) სკოლა

4) ბავშვზე ზრუნვის სამსახურები

5) სამედიცინო დაწესებულებები და ა.შ.

ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირებისას უნდა შემუშავდეს შესაბამისი კამპანია, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებულობას მათი როლისა და პასუხისმგებლობის შესახებ.

გადამისამართების სისტემაში შემავალი სამინისტროების ხარვეზები

განათლების და მეცნიერების სამინისტრო

- გადაიხედოს სასწავლო პროგრამები, იმისათვის რომ აღმოიფხვრას სტერეოტიპები
- გადამზადდეს პედაგოგთა კოლექტივი და სასწავლო დაწესებულების პერსონალი ბავშვის მიმართ ძალადობის თემაზე, იმისათვის, რომ დროულად იქნას ძალადობის მსსხვერპლი ბავშვის იდენტიფიცირება და ასევე, ბავშვის მიმართ ძალადობის პრევენციის მიზნით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

- ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება საპატრულო და საუბნო პოლიციის რეგულარული გამოძახებების საკითხი ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირების მიზნით
- უნდა ჩატარდეს ტრენინგები საპატრულო და საუბნო პოლიციის რეგულარული შემაკავებელი ორდერების გამოცემისას ბავშვთა საკითხების გათვალისწინების შესახებ.
- უნდა გადამზადდეს შსს-ს მიერ ახლად შექმნილი ადამიანის უფლებათა დეპარტამენტი ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე.

გ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

- ჩნდება სოციალური მომსახურების სააგენტოში ფსიქოლოგის როლის გაძლიერებს საჭიროება
- უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს სოციალური მუშაკების პერმანენტული გადამზადება რეფერირების სისტემაში მათი ეფექტურად ჩართვისთვის[48]

[48] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. (2018წ.), *ბავშვთა მიმართ ძალადობა.,* https://gyla.ge/files/banners/%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90%20%E1%

გამოყენებული ლიტერატურა:

Schaffstein, F., Beulke, W., (2005) S. 5; Kaiser, G., (1973) pg. 38; ასევე ინწკირველი ზ., (2000წ), გვ. 88.

D. Brauer, Kassel, Hessen. (2008წ.) *Autonomie and Familie* S. 381.

H. Bode., *Pediatric applications of transcranial Doppler sonography*

Hurrelmann, K., (2010წ.) *Spatmoderne Jugend-Erziehung Des beratens Wohlbenfinden*

Joan McCord, Cathy Spatz Widom, and Nancy A. Crowell (2001წ.), *Juvenile Justice Juvenile Crime* https://www.nap.edu/read/9747/chapter/1

S. Javadov, A. V. Kuznetsov. (1998წ.), *Mitochondria: The Cell of Stress*

W. Clark Sneider, M.D. Ph.D., Muriel W. Lambert (1987წ.), *Melanoacanthoma and related Disorders*

არასრულწლოვანთა განრდიება., განრიდების პროგრამის ოფიციალური ვებ. გვერდი www.ganrideba.ge

არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია, (2015წ.).

არასრულწლოვანთა კანონსაწინააღმდეგო ქცევებუს ხელშემწყობი ფაქტორების პოლიტიკური კვლევა ეისითი, 2015 გვ.5

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის სტრატეგია, (2014წ.).

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების ანალიზი და მთავრობისთვის შემუშავებული რეკომენდაციები.,(2013წ.) ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში., https://www.unicef.org/georgia/media/2066/file გვ. 37.

ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს გენერალური ასამბლეის დეკლარაცია (1959წ.), ბავშვის უფლებათა კონვენცი

ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია (1990), მუხლი 40 (2) (ბ, vii)).

გაეროს ზოგადი კომენტარი N10 (2007), „ბავშვთა უფლებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში“, პრ. 64-67.

მ.შალიკაშვილი, გ. მიქანაძე. (თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016წ.), *არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება* , მეორე გამოცემა

მედიაცია., განრიდების პროგრამის ვებ. გვერდი www.ganrideba.ge

ჟენევის დეკლარაცია ბავშვის უფლებების შესახებ (1924წ.), ერთა ლიგა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. (2018წ.), *ბავშვთა მიმართ ძალადობა.,*

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი , 09/10/2009

სერვისები., განრიდების პროგრამის ოფიციალური ვებ. გვერდი www.ganrideba.ge

სოციალური მომსახურების სააგენტო., ბავშვთა დაცვა ძალადობისგან (07.02.2019წ.)., www.ssa.gov.ge

უზნაძე დ. ამონარიდი მისი ნაშრომიდან ,,ზოგადი ფსიქოლოგია''

ქ. მაჭავარიანი.(10.05.2018წ.), 14 წლამდე კაკნონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებისთვის რეფერირების ცენტრის შექმნა იგეგმება https://netgazeti.ge/news/275483/ ბოლო ნახვა: 25.06.2019

შინაგან საქმეთა სამინისტრო., ბავშვთა დაცვის მიმართვის სისტემა., www.police.ge

ჩხარტიშვილი, ს., (1954წ.), აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია

სიღრმისეული ინტერვიუები:

ინტერვიუ #1 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორთან

ინტერვიუ #2 საქართველოს პრობაციის ეროვნული სააგენტოს დირექტორთან

ინტერვიუ#3 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგრანტო პროგრამების მენეჯერთან

ინტერვიუ #4 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის განრიდებისა და მედიაციის პროგრამების მედიატორთან

ინტერვიუ #5 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის ფსიქოლოგთან

დანართი:

ცხრილი#1: არასრულწლოვანთა კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის მამოტივირებელი ფაქტორები

(წყარო: *არასრულწლოვანთა კანონსაწინააღმდეგო ქცევებს ხელშემწყობი ფაქტორების პოლიტიკური კვლევა* ეისითი, 2015 გვ.5)



ცხრილი#2: 2018 წელს განრიდებული არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაულების მუხლობრივი მაჩვენებელი (წყარო: არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკა)



დანართი#3: 2018 წელს არასრულწლოვანთა მიმართ გაფორმებული ხელშეკრულებების ხანგრძლოვობა განრიდების პგორაგამაში

(წყარო: არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკა 2018.)



დანართი#4: 2018 წლის მანძილზე განრიდებულ იქნა 897 ახაგალგაზრდა, აქედან 497, 14-18 წლის არასრულწლოვანი და 400 სრულწლოვანი 18-21 წლამდე. 366 ახალგაზრდის მიმართ გამოყენებულ იქნა მედიაცია და შედგა 290 მედიაციის საერთო კონფერენცია.
2010 - 2018 წლებში, საერთო ჯამში, განრიდებულ იქნა 3632 21 წელამდე პირი.

(წყარო: განრიდების პროგრამის 2018 წლის ანგარიში)



დანართი#5: არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებული სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით

(წყარო: გ.ღვედაშვილი (2017.), რეზონანსი *არასრულწლოვანთა დანაშაული.)*



დანართი#2

ინტერვიუს გზამკვლევი:

კითხვარი #1: ინტერვიუ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორთან

1. გარდა დანაშაულის პრევენციის ცენტრისა, რომელი უწყებებია მაკოორდინერებელი არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის მიმართულებით საქართველოში?
2. რამდენად ეფექტურია არასრულწლოვანტა მართლმსაჯულების კოდექსი ჩვენს რეალობაში?
3. რა დანიშნულება აქვს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიას?

4. როგორია დანაშაულის პრევენციის ცენტრის საქმიანობა და რა ფუნქციები ექნება მას რეფორმის დასრულების შემდეგ?
5. რამდენად ეფექტური გამოდგა განრიდებისა და მედიაციის პროგრამა საქართველოში?
6. რას გულისხმობს ბავშვთა დაცვის (რეფერირების) სისტემა?
7. რა დანიშნულება და ფუნქციები ექნება 14 წლამდე ასაკის ბავშვთა რეფერირების ცენტრს?
8. ერთობლიობაში როგორ მუშაობს სისტემა და რა ცვლილებები იგეგმება მასში?

კითხვარი #2: ინტერვიუ საქართველოს პრობაციის ეროვნული სააგენტოს დირექტორთან

1. როგორია პროგრესი ყოდილი პატიმრების რესოციალიზაცია რეაბილიტაციის მიმართულებით?
2. დღევანდელი მონაცემებით, რა შეიცვალა ყოფილი პატიმრებისთვის? რას ვთავაზობთ მათ? რა ფორმით ვუწყობთ ხელს მათ საზოგადოებაში რეინტეგრაციას?
3. რა სერვისებს სთავაზობს სახელმწიფო არასრულწლოვან მსჯავრდებულებს?
4. განრიდება - ,,კანონით გათვალისწინებული შეღავათია''- განერიდოს საპატიმრო სასჯელს. რას ითვალისწინებს ეს პროგრამა? რა გზით ხდება დანაშაულის პრევენცია ამ მიმართულებით?
5. საერთო ჯამში რომ შევაფასოთ პროგრამის ეფექტურობა, როგორია რეციდივის სტატისტიკა?
6. რა ხარვეზებია დღეის კვალობით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში და რისი შეცვლა იგეგმება?

კითხვარი #3: ინტერვიუ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის განრიდებისა და მედიაციის პროგრამების მედიატორთან

1. რა პროფესიაა ყველაზე მეტად მიზანშეწონილი მედიატორის ძლიერ პროფესიონალად ჩამოსაყალიბებლად?
2. გადის თუ არა მედიატორი რაიმე სპეციალურ სასწავლო კურსს მედიაციის დამოუკიდებლად წარმოართისთვის?
3. თუ შეგიძლიათ რომ მომიყვეთ წარმატებული მედიაციის მაგალითის შესახებ

4. რას წარმოადგენს მთავარი სირთულე თქვენს საქმიანობას?
5. როგორ მიგაჩნიათ, რამდენად წარმატებულია აღნიშნული პგორამა საქართველოში? რამდენად პასუხობს იგი არსებულ გამოწვევებს?
6. ვინაიდან საქართველოში არც თუ ისე დიდიხნისწინ მოხდა განრიდება-მედიაციის პროგრამის იმპლიმენტაცია არის თუ არა რაიმე ხარვეზი პროგრამის მოძლიერების პროცესში და რას შეცვლიდითი თქვენ რომ შეგეძლოთ?

კითხვარი #4: ინტერვიუ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის ცენტრის ფსიქოლოგთან

1. რა კრიტერიუმებით მიაკუთვნებთ ბენეფიციარს დანაშაულის პრევენციის მეორე დონეს?
2. რა კონკრეტული შედეგები გქონიათ, რითიც ხვდებით, რომ პროგრამა გამართულად მუშაობს?
3. იყო თუ არა შემთხვევები, როცა შედეგი არ გამოიღო ბენეფიციართან მუშაობამ და რამდენად ხშირია ასეთი შემთხვევები?
4. რა მომზადებას გადის ფსიქოლოგი დელიქვენტური ქცევის მოზარდებთან კომპეტენტურობისა და მზაობისთვის?
5. რამდენად კმაყოფილი ხართ იმით, რასაც სახელმწიფო სთავაზობს აღნიშნულ სეგმენტს?
6. რა არის თქვენი პროფესიონალური რეკომენდაცია ამ სფეროს უფრო მეტად განივთარებისა და დახვეწისთვის?

კითხვარი# 5: ინტერვიუ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგრანტო პროგრამების მენეჯერთან

1. რა არის საგრანტო პროგრამების არსი და რა მიზანს ატარებს იგი?
2. როგორ ხდება საგრანტო კონკურსში მონაწილეობა?
3. როგორ განისაზღვრება კონკურსში გამარჯვებული?
4. 2012 წლიდან დღემდე როგორია სტატისტიკა ამ მიმართულებით?

5. როგორია საგრანტო პროგრამებში მონაწილე ორგანიზაციების გეოგრაფიული განაწილება ქვეყნის მასშტაბით?
6. რამდენად ეფექტურია აღნიშნული პროგრამა და რა ხარვეზები გააჩნია მას?
7. რა მიმართულებით შეცვლიდით საგრანტო პროგრამების მუშაობის მიმართულებას და რა რეკომენდაცია გექნებოდათ მთავრობისთვის?

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Lasha Kakashvili

State policy towards prevention of juvenile crime in Georgia

Political Science

Master thesis is prepared to obtain master degree in Political Science

Course Supervisor: Doctor of Philosophical science Aleksandre Kukhianidze

Tbilisi

2019